პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 33 (12849) | შაბათი, 8 თებერვალი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

# ღირსეული შეხვედრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს!

დუშეთის საწარმოო სამმართველოს აგროქიმიურმა ლაბორატორიამ 1.000 ჰექტარი მიწის ქიმიური შემადგენლობა შეისწავლა აგროქიმიური კარტოგრამის შესადგენად.

სურათზე: აგროქიმიური ლაბორატორიის გამგე ელენე სამუკაშვილი და აგროქიმიკოსი ელზა შიომღვდლიშვილი ანალიზს უკეთებენ ნიადაგს.

ფოტო ს. ლეჟავასი.

# ეკონომიურად ვხარჯოთ სახალხო მეურნეობაში შავი და ფერადი ლითონები

ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნის ხალხი წარმატებით ახორციელებს სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს. ყოველდღიურად უფრო ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის. კომუნიზმის მშენებლობის საქმის წარმატებისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე უღმობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ მფლანგველობას, უყაირათობას შავი და ფერადი ლითონების გამოყენებაში, ყველა საშუალებითა და ღონისძიებით მივაღწიოთ ეკონომიას და დაზოგილი საშუალებანი გამოვიყენოთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაჩქარებული მომზადებისათვის.

ლითონის ეკონომიის შესაძლებლობა სახალხო მეურნეობის ყველა უბანზეა, განსაკუთრებით დიდია მანქანათმშენებლობაში. მიუხედავად იმისა, რომ მანქანათმშენებლო მრეწველობაში ამ უკანასკნელ ხანს განხორციელდა ღონისძიებანი ნაკეთობის ერთეულზე ლითონის ხარჯვის შესამცირებლად, ლითონის დანაკარგი სხვადასხვა ნარჩენის სახით მაინც დიდია.

მთელ რიგ მანქანათმშენებლო ქარხნებში დღემდე დიდია წუნი. წუნის შემცირება იმ დონემდე, რომელსაც მოწინავე ქარხნებმა უკვე მიაღწიეს, საშუალებას მოგვცემს დავზოგოთ მანქანათმშენებლობაში რამდენიმე ათეული ათასი ტონა შავი და ფერადი ლითონები.

ძალიან ბევრი ლითონი იქცევა ბურბუშელად. ლითონის ეს დანაკარგი შეიძლება მკვეთრად შევამციროთ და კიდევაც უნდა შევამციროთ. მაგრამ ამისათვის უფრო ფართოდ უნდა დავნერგოთ ლითონის დამუშავების ისეთი თანამედროვე ხერხები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ნაჭედი, ნატეფარი და სხვანი ნამზადები, რომლებიც ყველაზე მეტად უახლოვდება მზა დეტალების ფორმებსა და ზომას.

ყოველად შეუწყნარებელია, რომ ცალკეული ქარხნები კვლავ უშვებენ მძიმე მანქანებს, მაშინ როცა სხვა საწარმოებში ანალოგიური მანქანები თუ ცალკეული კვანძები გაცილებით ნაკლები წონისა კეთდება.

დიდძალი ლითონი შეიძლება დავზოგოთ მასობრივი გამოყენების დეტალების კონსტრუქციათა გაუმჯობესების შედეგად.

მანქანათმშენებლობის მუშაკებმა თანამეგობრობით დიდ ღონისძიებებს ახორციელებენ იმისათვის, რომ პლასტმასისაგან დამზადებული დეტალებით შეცვალონ ფერადი ლითონები.

მიღწეებთან ერთად კრებაზე აღინიშნა მრავალი ნაკლი ლითონის ხარჯვაში და ის რეზერვები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული.

ბული დეტალები, ხოლო მძიმე წონის დეტალებისათვის, სადგარების, ჩარჩოებისა და კორპუსებისათვის — რკინაბეტონი.

თვითეულ საწარმოში, მშენებლობაზე, საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში, საპროექტო და საკონსტრუქტორო ინსტიტუტში საჭიროა შემუშავდეს კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია შავი და ფერადი ლითონების ხარჯვის შემცირება, დაწესდეს ლითონების მომჭირნედ ხარჯვის პროგრესული ნორმები.

მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე ვხვდებით შავი და ფერადი ლითონების არასწორ აღრიცხვას, არის ზენორმატიული ნაშთები, არაეკონომიურად იყენებენ ამ ძვირფას ნედლეულს, ნაკლებად ზრუნავენ ისეთი რაციონალიზატორული წინადადებების, გამოგონებებისა და გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვისათვის, რომლებიც შეამცირებენ შავი და ფერადი ლითონების ხარჯვას.

გაითვალისწინა რა შავი და ფერადი ლითონების აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების საქმეში არსებული ნაკლოვანებები, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზეც ამჟამად მთელ ჩვენს დიად ქვეყანაში მიმდინარეობს შავი და ფერადი ლითონების აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების მასობრივი შემოწმება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი, მისი ადგილობრივი ორგანოები, ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები აწარმოებენ შავი და ფერადი ლითონების ხარჯვის, შენახვისა და აღრიცხვის მასობრივ შემოწმებას. მუშაობის დაწყებიდან უკვე ერთი თვე გავიდა. გამოვლინებულია მრავალი ნაკლი ლითონების ხარჯვისა და შენახვის საქმეში.

შავი და ფერადი ლითონების რაციონალურად ხარჯვა, ბრძოლა მათი ეკონომიისათვის საყოველთაო-სახალხო საქმე უნდა გახდეს და ხორციელდებოდეს ყველგან, ყველა საწარმოში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში, სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებში, ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში.

შავი და ფერადი ლითონების ეკონომიურად ხარჯვის, ზუსტი აღრიცხვისა და სათანადო შენახვის საქმეში კარგი ინიციატივა გამოიჩინა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც აიღო ვალდებულებანი და მიიღო მიმართვა.

## თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრების მიმართვა

### საქართველოს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, მრეწველობის, ტრანსპორტის საწარმოების, მშენებლობის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების მშრომელებისადმი

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებელო ქარხანაში გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზეც განიხილეს შავი და ფერადი ლითონების ეკონომიურად ხარჯვის, ზუსტი აღრიცხვისა და სათანადოდ შენახვის საკითხი.

შვიდწლედის განვლილ პერიოდში თბილისელმა ელმავალმშენებლებმა თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს—1963 წელს მიაღწიეს წარმოების იმ დონეს, რაც შვიდწლედის ბოლოსათვის იყო გათვალისწინებული. ქარხნის არსებობის ისტორიულად მოკლე პერიოდში არა მარტო აითვისეს რვაღერძიანი ელმავლის წარმოება, არამედ შექმნეს ახალი ქართული ელმავალი ვლ-10, რომელიც თავის წინამორბედზე გაცილებით ძლიერი და 8 ტონით მსუბუქია.

შავი და ფერადი ლითონების ეკონომიისათვის, ელმავლის თვითღირებულების შემცირებისათვის მრავალი საყურადღებო ღონისძიება, მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება დანერგეს წარმოებაში, შექმნეს რელეს თითქმის ახალი კონსტრუქცია, რის შედეგადაც მიღწეულია ამ აპარატის მგრძნობიარობის ზრდა, გაბარიტული ზომების, წონის შემცირება. ამ ღონისძიების განხორციელებამ 60 პროცენტით შეამცირა სპილენძის ხარჯი ამ კვანძის დამზადებაზე.

ელმავალზე გაიუმჯობესეს დაბრკოლებაჩამხშობი დროსელის ჩართვის სქემა, რითაც სანახევროდ შემცირდა ამ აპარატების რაოდენობა. ეს ღონისძიება წელიწადში 15 ტონა სპილენძის ეკონომიას იძლევა.

მეცნიერ მუშაკებთან თანამეგობრობით დიდ ღონისძიებებს ახორციელებენ იმისათვის, რომ პლასტმასისაგან დამზადებული დეტალებით შეცვალონ ფერადი ლითონები.

მიღწევებთან ერთად კრებაზე აღინიშნა მრავალი ნაკლი ლითონის ხარჯვაში და ის რეზერვები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული.

კრების მონაწილეებმა განიხილეს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის ხელშემწყობი ჯგუფისა და საზოგადოებრივ ინსპექციათა ბრიგადების ხელმძღვანელობა. ეს ორგანოები ეხმარებიან ელმავალმშენებლებს ლითონის ეკონომიურ ხარჯვაში, ზუსტ აღრიცხვაში, ლითონის ნარჩენების ადგილზე ადგილობრივ გადამუშავებაში, ლითონის ნარჩენებისა და ბრუნვადი ფონდების ეფექტიანი გამოყენებაში.

ეკონომიურ ხარჯვაზე, ზუსტ აღრიცხვაზე, ლითონის ნარჩენების ადგილზე გადამუშავებაზე, ბრძოლა ეკონომიურ ხარჯვისა და ზუსტ აღრიცხვისათვის,

კომუნისტი

# ფასების კონტროლით!

საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტის ორგანო №10

**საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობამ ყოველმხრივ შეაჯამა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა და შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის, ახალი ადამიანის აღზრდის საქმის გაუმჯობესებისათვის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის კიდევ უფრო ამაღლებისათვის.**

**ყრილობაზე დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი აგრეთვე კონტროლის ახალი ორგანოების მოღვაწეობას. ყრილობის რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ „პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებმა, რომლებიც ლენინური პრინციპით შეიქმნა და პარტიული ორგანიზაციების მებრძოლი თანაშემწეები არიან, გარკვეული მუშაობა გასწიეს წარმოების რეზერვების გამოსავლინებლად, სახსრების ეკონომიური ხარჯვისათვის საბრძოლველად, აგრეთვე სოციალისტური საკუთრების დაცვისა და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა გამოსავლინებლად და თავიდან ასაცილებლად“.**

ერთ წელზე ნაკლები დრო გავიდა მას შემდეგ, რაც რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები პრაქტიკულად შეუდგნენ საქმეს. მაგრამ ამ მოკლე დროში მათ მუშაობის მდიდარი გამოცდილება შეიძინეს. სახალხო კონტროლიორები ფხიზლად იხედებიან ჩვენი ცხოვრების ყველა კუნჭულში, აქტიურად ეხმარებიან პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს მუშაობის გაჯანსაღებაში, ნაკლოვანებათა დროულად გამოვლინებასა და გამოსწორებაში. მაგრამ, ამასთანავე, ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობას ყველგან სათანადო ზრუნვით როდი ეკიდებიან პირველადი პარტიული ორგანიზაციები. ამიტომაც ზოგ საწარმოსა და მეურნეობაში ჯერ კიდევ სუსტია კონტროლის თვალი.

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობამ პარტიულ კომიტეტებს დაავალა „სრულყონ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მუშაობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში პარტიულ-სახელმწიფო დისციპლინის უზრუნველყოფისათვის. პარტიულმა კომიტეტებმა და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებმა რეგულარულად მოისმინონ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების ანგარიში და ინფორმაცია, მიიღონ ღონისძიებანი მათი საქმიანობის აქტივიზაციისათვის“.

## შავი და ფერადი ლითონების ხარჯვის მასობრივი შემოწმება

# სახელმწიფოს განძი

**ჩვენი ქვეყანა ყოველწლიურად ათობით მილიონ ტონა ლითონს აწარმოებს. მიუხედავად ამისა, სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება ლითონზე ყოველწლიურად იზრდება. ამიტომაც მის მომჭირნედ ხარჯვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ლითონის აღრიცხვაში, შენახვასა და გამოყენებაში არსებული ნაკლოვანებები სახელმწიფოს დიდ ზიანს აყენებს.**

**მიმდინარე წლის იანვარ-მარტში მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში, მშენებლობებზე, საწყობებსა და ბაზებში ეწყობა შავი და ფერადი ლითონების აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების მასობრივი შემოწმება.**

ამ შემოწმების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა მნიშვნელოვანი მოსამზადებელი მუშაობა გასწია. ადგილზე პრაქტიკული დახმარების გასაწევად მივლინებულ იქნენ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის, საგეგმო კომისიის, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, უწყებების და სხვა ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები.

შავი და ფერადი ლითონების ზენორმატიული ნაშთების გამოვლენებისა და გამოყენების მასობრივ შემოწმებას ახორციელებენ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები. მთელი რიგი საკითხების პრაქტიკულად განხორციელებისათვის საწარმოებში და მშენებლობებზე შექმნილია კომისიები, ბრიგადები, რომლებშიც ჩაბმული არიან წარმოების მოწინავენი, ინჟინრები, ეკონომისტები, მგეგმავები, ტექნოლოგები, ბუღალტრები, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი, „კომკავშირული პროჟექტორის“ რაზმების, საფინანსო ორგანოების წარმომადგენლები, სტატისტიკური აღრიცხვის მუშაკები.

რესპუბლიკაში შავი და ფერადი ლითონების აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების შემოწმებაში მონაწილეობს 8 ათასზე მეტი კაცი.

მასობრივი შემოწმების სწორად წარმართვის შედეგად პარტიულ-სახელმწიფო კომიტეტები და განსაკუთრებით აშარის ასსრ, რუსთავის, ქუთაისის, ჭიათურის, ფოთის ადგილობრივი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტები მნიშვნელოვან შედეგებს აღწევენ ლითონების რეზერვების გამოვლინებაში.

შემოწმების დაწყების დღიდან თვეზე მეტი გავიდა. პირველმა შედეგებმა გვიჩვენა, რომ მთელ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებში იყო ლითონების აღურიცხავად დატოვების ფაქტები. 1 თებერვლისათვის, არასრული მონაცემებით, გამოვლინებულია აღურიცხავი 42 ათასამდე ტონა შავი ლითონი, 30 ათას კილოგრამზე მეტი ფერადი ლითონი, 120,5 გრძივი კილომეტრი საკაბელო ნაწარმი და 13 გრძივ კილომეტრამდე მილები.

სახალხო მეურნეობის საბჭოს „ლითონმარაგგასაღების“ სამმართველოს თბილისის და ქუთაისის ლითონის ბაზებში დაუდევრად ეკიდებოდნენ აღრიცხვასა და ანგარიშგებას. იმის გამო, რომ ამ ბაზებმა დროზე არ აცნობეს სათანადო ორგანიზაციებს გაგზავნილი და მათთან შესანახავად არსებული ლითონის შესახებ, 50-ზე მეტ საწარმოს და ორგანიზაციას 1964 წლის 1 იანვრისათვის აღურიცხავი დარჩა 2.660 ტონა შავი ლითონი.

განსაკუთრებით უყურადღებოდ არის დაყენებული ლითონის აღრიცხვისა და მისი გამოყენების საქმე სამშენებლო ორგანიზაციებში.

თბილისის საკომპენსაციო ელექტროსადგურის მშენებლობის სამმართველოში, ტყიბულის მანქმშენის, სამშენებლო სამინისტროს № 4 ტრესტის და სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველოს, № 815 სამშენებლო სამონტაჟო მატარებლის ობიექტებზე აღმოჩენილ იქნა 350 ტონამდე აღურიცხავი ლითონი და მისი უყაირათოდ ხარჯვის ფაქტები. უფრო მეტიც, სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველოს საწარმოო ბაზის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა ჯერ კიდევ 1962 წელს შემოზიდული 22 გრძივი კილომეტრი მაღალი ძაბვის გამტარი, და იმის გამო, რომ მფლობელი არ აღმოჩნდა, იგი აღრიცხული არ იყო.

ფორმალურად აღრიცხეს ლითონების ნაშთი რუსთავის „ენერგოჩერმეტის“ სამმართველოში. ამ სამმართველოს ხელმძღვანელთა დაუდევრობით და უპასუხისმგებლობით უნდა აიხსნას, რომ ბევრი ლითონი მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის გადამალულ იქნა და არ აღურიცხავთ. აქ არ აღრიცხეს აგრეთვე 68,5 ტონა კოხსტრუქციული ფოლადი, 7,8 გრძივი კილომეტრი სხვადასხვა სახის მილები.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ზოგიერთი ადგილობრივი კომიტეტი და სამეურნეო ორგანიზაციის ცალკეული ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ და პრაქტიკულ დახმარებას არ უწევდნენ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის ხელშემწყობ ჯგუფებს, კომისიებს და ბრიგადებს ამ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ღონისძიების მოწყობაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა მოისმინეს არსებულმა შტაბმა მოისმინეს ზოგიერთი კომიტეტის, სამეურნეო ორგანიზაციათა და უწყებათა ხელმძღვანელების ანგარიში მასობრივი შემოწმების მიმდინარეობის შესახებ. დასახულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა შავი და ფერადი ლითონების აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების მასობრივი შემოწმების ორგანიზაცია. გაძლიერდა კონტროლი და ყოველდღიური დახმარება ხელშემწყობი ჯგუფების, კომისიებისა და ბრიგადებისადმი, რამაც უფრო გააქტიურა და ნაყოფიერი გახადა მათი მუშაობა.

**საქართველოს სსრ ლოზის ასული კავტენენკო იყო. ეს კავტენენკო ამავე დროს შეთავსებით სამომხმარებლო კოოპერატივის სალაროს განაგებდა. ისინი ორი წლის განმავლობაში სახელმწიფო ჯიბეში თავისუფლად აფათურებდნენ ხელს და ითვისებდნენ სავაჭრო ობიექტებიდან მიღებულ თანხებს. ასე გაფლანგეს 13.370 მანეთი.**

**ეს ორი ბოროტმოქმედი დაკავშირებული იყო რაიხამომხმარებლო კოოპერატივის მუშათა ბრიგადირის მოვალეობის შემსრულებელ ვიქტორ სიდორენკოსთან, რომელიც ადგნდა ყალბ უწყისებს.**

**სასამართლომ გამფლანგველებს საკადრისი სასჯელი მიუზომა.**

**საქართველოს სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სახელმწიფო ქონების დამტაცებლებისა და გამფლანგველების საქმეს.**

**საბჭოთა კანონი მკაცრი და ულმობელია სახელმწიფოს და საზოგადოებრივი ქონების ხელმყოფთა მიმართ. კანონი კანონია და იგი დანაშაულს არავის აპატიებს. მაგრამ ჩვენი მთავარი მიზანი დასჯა კი არ არის, არამედ ადამიანების აღზრდა, დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა და მისი თავიდან აცდენაა.**

**ყოველი პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე, საზოგადოების თვითეული წევრი თავის მოვალეობად უნდა თვლიდეს სახტიკი ბრძოლა გამოუცხადოს, ულმობლად ამხილოს კანონის დარღვევანი და დანაშაულის ყოველი ფაქტი. უამისოდ, საზოგადოების ფართო მასების დაუხმარებლად მილიციასა და პროკურატურის ორგანოები, რომლებიც მოწოდებული არიან დაიცვან საბჭოთა კანონიერება, ვერ შეძლებენ წარმატების მოპოვებას დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში.**

**ვ. მაისურაძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.**

## ამ გვერდზე წაიკითხეთ:

- **სახალხო კონტროლიორები ამოწმებენ შავი და ფერადი ლითონების ხარჯვასა და აღრიცხვას**
- **ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოს არაგზიჩისა და კვიტოულის კოლმეურნეობებში ცუდად უვლიან მინერალურ სასუქებს**
- **სამგზავრო ხვნა-თესვისათვის მზადებაში თელაველები ჩამორჩებიან. სრულ მზადყოფნაში არ არის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა**
- **მტკიცედ დავიცვათ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები**

# კონტროლი ამხელს

### ცნობები თბილისიდან

**ლენინის რაიონი**

**რამდენიმე ათეულმა კაცმა მიიღო მონაწილეობა ქარხანა „ელექტროგამშვების“ მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის შემოწმებაში. სახალხო კონტროლიორებმა დაადგინეს, რომ საწარმოში უხარისხო პროდუქციის გამოშვების შემთხვევებია, რის გამო არცოუ იშვიათია რეკლამაციები. წარმოების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო ირღვევა ტექნოლოგიური რეჟიმი, პროდუქციას არარიტმულად უშვებენ. ქარხანაში ჩაწოლილია 493,6 ათასი მანეთის ნორმირებული სამუშაოლებანი, რომელთა ორ მესამედზე მეტს მზა პროდუქცია შეადგენს. შემოწმებამ აგრეთვე ცხადყო, რომ ქარხანაში არაწესიერად ინახავენ მზა პროდუქციას. სრულიად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა კაპიტალური მშენებლობის საქმეშიც.**

**რეიდის მონაწილეებმა ჯერ კიდევ შემოწმების პროცესშივე ბევრი რამ გამოასწორეს, მაგრამ ყოველმხრივ განხილვის მიზნით საკითხი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რაიონულ კომიტეტში დაიყენეს. კომიტეტმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ქარხანაში არსებული ნაკლოვანებებისა და დარღვევების გამოსწორებისათვის. საწარმოს ზოგიერთ პასუხისმგებელ პირს მითითება მიეცა.**

**ოქტომგრის რაიონი**

**აქტივისტებს, რომლებიც პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტთან მუშაობენ, რაიონში ხალხის ფხიზელ თვალს უწოდებენ. ამ დღეებში კომიტეტმა აქტივისტთა ფართო მონაწილეობით შეამოწმა „გრუზტორგრეკლამაში“ ფულადი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა.**

**შემოწმების პროცესში გამოირკვა, რომ აქ არცოუ იშვიათია ფულადი სახსრების არასწორად ხარჯვის შემთხვევები.**

**პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა განიხილა „გრუზტორგრეკლამაში“ ფულადი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შემოწმების საკითხი. ამ საქმეში დამნაშავე პირებს მკაცრი ადმინისტრაციული სახელი დაედოთ და სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება დაეკისრათ. დასახულ იქნა ღონისძიებანი შემდგომში მსგავს შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად.**

# როცა ქიმიას პატივს არ სცემენ

### მინერალური სასუქები თოვლსა და წვიმაში

**ცუდი ამინდი ბობოქრობს ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოს მეურნეობათა მინდვრებში, ჩაის პლანტაციებში. მაგრამ ეს როდი აშინებს სოფლის მშრომელებს. ისინი ხელებდაკაპიწებული შრომობენ, რომ შვიდწლედის მეექვსე წელს წარმატებით აიღონ ახალი ზღუდეები. ამჟამად გაცხოველებთ მიმდინარეობს ყველა საზამთრო სამუშაო.**

**სკკკ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა დიდად აამაღლა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა, სოფლის კომუნისტების პასუხისმგებლობა მინერალური სასუქების გონივრულად გამოყენებისათვის, რაც უხვი შოსავლის მიღების ერთ-ერთი საკვანძო გარანტიაა. ამაში კი უდავოდ ვრწმუნდებით ბევრი მეურნეობის მაგალითზე.**

**მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველგან კარგად როდი გაიგეს ეს ჭეშმარიტება. ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობა, პირველადი პარტიული ორგანიზაცია მინერალური სასუქებისადმი შეუფასებლობას იჩენს, არათუ არ ზრუნავს მათი გონივრულად გამოყენებისათვის, გულგრილადაც კი შეჰყურებს იმ ფაქტს, რომ მათი მეურნეობისათვის გაწეულთანული ძვირფასი სასუქი თოჯლსა და წვიმაში ზიანდება.**

**5 თებერვალს „საქსოფლტექნიკის“ ოჩამჩირის გაწყობილების საწყობები შემოვიარეთ. დღემდე ხელსლებლად ყრია ამ ათიოდე დღის წინათ და უფრო ადრე მიღებული 300 ტონაზე მეტი სხვადასხვა სახის მინერალური სასუქი. გაოცებას ის უფრო იწვევს, რომ სასუქების ის პარტია, რომელიც აქ 26 იანვარს მიიღეს, ჯერ კიდევ არ არის განაწილებული კოლმეურნეობების მიხედვით. რაცა ამის შესახებ საწარმოო სამმართველოს საგეგმო განყოფილების გამგეს ვ. შვეიცერსოს და „საქსოფლტექნიკის“ ოჩამჩირის განყოფილების უფროსს მ. ჩიტაიას ვკითხეთ, მათ უსიამოვნოდ ასწიეს მხრები და დამაჯერებელი მიზეზი ვერ გამონახეს პასუხისათვის.**

**მეტად გულსატკივნია ასეთი ფაქტიც: ჯერ კიდევ გასული წლის მიწურულში განაწილების მიხედვით „საქსოფლტექნიკის“ საწყობებიდან გარკვეული რაოდენობით მინერალური სასუქები უნდა გაეტანა ბევრ კოლმეურნეობას. მაგრამ რა მოხდა? ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დღემდე არ შეუწუხებია თავი ამ საქმისათვის.**

**10-15 ტონა სასუქი კარგი სიმდიდრეა. დაახლოებით ამდენი აქვთ გასატანი თვითეულს მოქვის კოლმეურნეობა „მორკულას“, რეკის ჟაკჟაველის, აძიუბჟას ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობებს, აძიუბჟას კოლმეურნეობა „აძიუბჟას“. საინტერესოა, ვის ან რას უცდიან ამ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები შ. ასლანია, ე. ლოგუა, ი. შუბითიძე და კ. გუმბა?**

**მენერალური სასუქებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება ზოგან უფრო შორს მიდის. ცუდი შენახვის გამო სასუქების გაფუჭების აღმაშფოთებელ ფაქტებს ადგილი აქვს სოფელ არაგვრის შაჯმიანის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ანტონიანი). აქ ოთხ ტონამდე მინერალური სასუქი ღია ცის ქვეშ ყრია, ხოლო დაახლოებით 60 ტონა სასუქსაც, რომელიც ფარდულში დაყარეს, სახურავიდან თავისუფლად ათოვს და აწვიმს.**

**ანალოგიური მდგომარეობაა სოფელ კვიტოულის კოლმეურნეობაშიც (თავმჯდომარე შ. ლომია). 50 ტონაზე მეტი გვარჯილა ისეთ საწყობში მოთავსეს, რომლის სახურავიდანაც წვიმა შეუფერხებლად აღწევს შიგ, კედლებზე კი სათანადო ცხრილების უქონლობის გამო წყალი გუბდება და სასუქს ანადგურებს.**

**ამ ფაქტების აღნიშნას კომეტნტარი თითქოს აღარც კი სჭირდება, მაგრამ მაინც გვსურს შევეკითხოთ ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელს, იქ მომუშავე კომუნისტს: განა ასე უნდა შეეტკივოთ გული საქმისათვის? განა მხოლოდ სიტყვით უნდა უჭირდეთ მხარს პარტიის მითითებას დიდი ქმიიის უსაზღვრო სარგებლიანობის შესახებ? თუ პირიქით, პრაქტიკულად უნდა დაამტკიცოთ შენი ერთგულება საქმისადმი, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლისადმი!**

**დიდ ქმიიას დიდი პატივისცემა უნდა.**

**ს. ანუა.**

**ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოს პარტიულ - სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.**

# გულგრილობა და დანაშაული

### ხალხი—კანონიერების სადარაჯოზე!

**საბჭოთა კანონიერება ყოველთვის იყო და იქნება რევოლუციის მონაპოვართა მგზნებარე დამცველი. საბჭოთა მართლმსაჯულების წმიდათაწმიდა მიზანია დაიცვას სოციალისტური საზოგადოება, რევოლუციური პრინციპულობით და შემართებით იბრძოლოს იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელყოფს სახელმწიფოს, საზოგადოების ინტერესებს.**

**დღეს, ისე როგორც არასდროს, ყურადღება ექცევა ხალხის, საზოგადოების ფართო მასების ჩაბმას კანონიერების განხორციელების საქმეში. ამიტომ არის, რომ ამ ბოლო დროს სასამართლო-პროკურატურის ორგანოებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს დანაშაულობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით სამეურნეო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. რაც უფრო მჭიდრო იქნება კონტაქტი ხალხსა და მართლმსაჯულებას შორის, მით უფრო ადრე მოისპობიან საზოგადოებრივი ქონების დამტაცებლები და გამნაავებლები, ქურდები.**

**დასაფარი არ არის, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც გულგრილად ჩაუვლის სახელმწიფო ქონების დამტაცებელს, შეუძლია მშვიდად იყოს და იფიქროს: „რა მენაღვლება, მე ხომ არაფერს ვკარგავ“. ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც ჯერ ვერ შეუგნიათ, რომ საზოგადოებრივი ქონების დაცვა მათივე საკუთრების დაცვაა.**

**ახლა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა 1962 წლის 15 აგვისტოს კანონს, არაშრომითი შემოსავლით აგებული სახლებისა და აგარაკების მესაკუთრეთა ვინაობის შესწავლასა და დადგენას. უკვე ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართებით, მაგრამ თუ ამ საქმიანობაში საზოგადოების ფართო მასები არ ჩაებნენ, შეუძლებელი იქნება ამ კანონის ცხოვრებაში გატარება. რაისაბჭოების კომისიებმა, რომლებიც განიხილავენ ასეთ საქმეებს, იმ პირების საბუთები, რომლებიც ხერეოზულ ეჭვს აღძრავენ და მათ მოქმედებაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებია, პროკურატურის ორგანოებს უნდა გადასცენ.**

**საერთოდ, დადგა დრო, როცა საბოლოო და გადამჭრელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ხაზინის გამქურდავებს.**

**პატიოსანი მშრომელი კაცი დიდ მორალურ კმაყოფილებას განიცდის, როდესაც შეიტყობს, რომ გამფლანგველს ქურდობაზე წაასწრეს, რომ აღსრულდა სამართლიანობა: ნაქურდალი ფულით აშენებული სახლი ჩამოერთვა მფლობელს და საბავშვო ბაღს გადაეცა ან მისი ავტომანქანა საავადმყოფომ, სკოლამ, კოლმეურნეობამ შეიესყიდა.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ განიხილა ვინმე ნ. კლდიაშვილისა და სხვათა საქმე.**

**კლდიაშვილი ჯერ კიდევ 1951 წელს იქნა გასამართლებული, და თანახმად 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებისა „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დაცვისებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ მიესჯა ხანგრძლივი დროით თავისუფლების აღკვეთა. განთავისუფლდა 1960 წელს, მუშაობდა ყვარლის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო საბჭოს ხე-ტყის მომარაგების ექსპედიტორად. იგი საკოლმეურნეობათაშორისო საბჭოს ხელმძღვანელობისაგან საქვეანგარიშო თანხებს ისე იღებდა, რომ წინათ მიღებულ თანხებზე ანგარიშებს არ სთხოვდნენ. ნ. კლდიაშვილი, სარგებლობდა რა ასეთი „პატივით“, სჩადიოდა ყოველგვარ სიყალბეს, წერდა ყალბ განრიგებსა და უწყისებს, ხელფასის უწყისებში შეჰქონდა მოგონილი გვარები.**

**როგორც კი გაიგო ნ. კლდიაშვილმა, რომ ლაგოდეხის რაიონის სოფელ გურგენიძის კოლმეურნეობა „განთიადსა“ და სოფელ ნინიგორის კოლმეურნეობა „მეგობრობას“ ესაჭიროებოდა ულის გასაყვანი მილები, მაშინვე იქ გაჩნდა და თავის „სამსახური შესთავაზა“. პირველად გადარიცხვის საშუალებით მართლაც ჩამოუტანა მათ გარკვეული რაოდენობით მილები, შემდეგ კი უარი უთხრა გადარიცხვით მილების ჩატანაზე და ნაღდი ფული მოსთხოვა. ეტყობა კოლმეურნეობის გამგეობას ბევრი არ უფიქრია და კლდიაშვილს მიართვეს კოლმეურნეობა „განთიადიდან“ 16.082 მანეთი, ხოლო „მეგობრობიდან“ 3.997 მანეთი.**

**კლდიაშვილმა კარგად იცოდა, რომ ულის მილები რუსთავის მეტალურგშენის ტექნიკური მომარაგების კანტორაში არ იყიდებოდა, იგი დაუკავშირდა ასეთსავე მტაცებლებს, შეიძინა მილების ნაწილი, ხოლო კოლმეურნეობებს წარუდგინა ყალბი ანგარიში, რის საფუძველზეც საქვეანგარიშო თანხა ჩამოეწერა.**

**საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ მკაცრი განაჩენი გამოუტანა ნ. კლდიაშვილსა და სხვა მის „თანამოსაქმეს“. მაგრამ განა ამით ითქვა ბოლომდე სათქმელი?**

**არიან ისეთი დამნაშავენი, რომელთა პასუხისმგებლობა კანონმდებლობას განსაზღვრული არა აქვს, მაგრამ რომლებიც სინდისგვილში დიდად უწყობენ ხელს ბოროტმოქმედებას. ესენი არიან ჩვეულებრივი „დოყლაპიები“, საერთო საქმისადმი გულგრილი ადამიანები, რომლებიც ავდებულად, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან კადრების შერჩევის საქმეს, განსაკუთრებით სამეურნეო დარგის მუშაკების შერჩევას.**

**განა დასაჯერებელია, რომ ყვარლის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო საბჭოში გამოცხადდა კლდიაშვილი და თქვა, უმუშევარი ვარ, იქნებ რამე საქმეში გამომიძებნოთო. მერე იქ მას მხლოდ ახედ-დახედეს და ხე-ტყის ექსპედიტორობა შესთავაზეს? — რა თქმა უნდა, ეს დასაჯერებელი არ არის.**

**განა არ არის დამნაშავე ის, ვინც კლდიაშვილს ხელი შეუწყო ამ ადგილის მოძებნაში? ან რას ფიქრობდნენ საკოლმეურნეობათაშორისო საბჭოში, როდესაც ხე-ტყის საქმეს აბარებდნენ კაცს, რომელსაც სახელმწიფო ქონების დატაცება-განიავებისათვის უკვე ჰქონდა ერთხელ სასჯელი? თუ იცოდნენ, რატომ მოიქცნენ ასე? თუ არა და მით უარესი: რატომ ენდნენ ბრმად ასეთ ადამიანს?**

**საჭიროა მეტი პრინციპულობა და დაკვირვება კადრების შერჩევის დროს, რომ კრავი მგელს არ მივაბაროთ ან ცეცხლი ძნაში არ შევინახოთ.**

**იაკობ ზაქარიას-ძე აგაჯანოვი უფროს ბუხგალტერად მუშაობდა მარნეულის რაისამომხმარებლო კოოპერატივში, ხოლო მისი მოადგილე ანა ნიკოლოზის ასული კავტენენკო იყო. ეს კავტენენკო ამავე დროს შეთავსებით სამომხმარებლო კოოპერატივის სალაროს განაგებდა. ისინი ორი წლის განმავლობაში სახელმწიფო ჯიბეში თავისუფლად აფათურებდნენ ხელს და ითვისებდნენ სავაჭრო ობიექტებიდან მიღებულ თანხებს. ასე გაფლანგეს 13.370 მანეთი.**

**ეს ორი ბოროტმოქმედი დაკავშირებული იყო რაიხამომხმარებლო კოოპერატივის მუშათა ბრიგადირის მოვალეობის შემსრულებელ ვიქტორ სიდორენკოსთან, რომელიც ადგნდა ყალბ უწყისებს.**

**სასამართლომ გამფლანგველებს საკადრისი სასჯელი მიუზომა.**

**საქართველოს სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სახელმწიფო ქონების დამტაცებლებისა და გამფლანგველების საქმეს.**

**საბჭოთა კანონი მკაცრი და ულმობელია სახელმწიფოს და საზოგადოებრივი ქონების ხელმყოფთა მიმართ. კანონი კანონია და იგი დანაშაულს არავის აპატიებს. მაგრამ ჩვენი მთავარი მიზანი დასჯა კი არ არის, არამედ ადამიანების აღზრდა, დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა და მისი თავიდან აცდენაა.**

**ყოველი პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე, საზოგადოების თვითეული წევრი თავის მოვალეობად უნდა თვლიდეს სახტიკი ბრძოლა გამოუცხადოს, ულმობლად ამხილოს კანონის დარღვევანი და დანაშაულის ყოველი ფაქტი. უამისოდ, საზოგადოების ფართო მასების დაუხმარებლად მილიციასა და პროკურატურის ორგანოები, რომლებიც მოწოდებული არიან დაიცვან საბჭოთა კანონიერება, ვერ შეძლებენ წარმატების მოპოვებას დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში.**

**ვ. მაისურაძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.**

**თბილისის ე. პატონის სახელობის ელექტროშესადუღებელ მოწყობილობათა ქარხნის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე, ოსტატი ჯ. სანადირაძე (მარცხნივ) და ჯგუფის წევრები — ამწყობი საამქროს ტექნოლოგი ე. ბოლოთაევი, მექანიკური საამქროს მხეზავი ვ. ნიკულშინი, მექანიკური საამქროს კონტროლიორი ბ. ძმაშვილი ლითონების ეკონომიის მასობრივი შემოწმების პროცესში განსაზღვრავენ კოლეტქტორული სპილენძის ხარჯვის ფაქტიურ ნორმას.**

**ფოტო შ. ჩხეტიანისა.**

**„მოწინავე“** — სამართლიანად ჰქვია ეს სახელი აკურის კოლმეურნეობას. ზვრები, 300 ჰექტარზე რომ არის გადაჭიმული, სანიმუშოდაა მოვლილი. ველ-მინდვრებს დამუშავება არ აკლია, მოსავალს უხვს იღებენ. მერე და რით? — მძლავრი ტექნიკით. ტრაქტორები, სათესები, კულტივატორები, კომბაინები, — არც ერთი არ აკლიათ აკურელებს. აქ მანქანა-იარაღების რემონტი უკვე დაამთავრეს. ინჟინერ-მექანიზატორებმა ლ. გუგუტიშვილმა და სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა გ. ხუციშვილმა კოლმეურნეობის გამგეობას მოახსენეს, რომ ყველა ტრაქტორი წესრიგშია, გუთნები, სათესები, კულტივატორები შეკეთებულია, მიმდინარეობს მოსავლის ასაღები მანქანა-იარაღების რემონტი.

**შეიდწლედის მეექვსე წლის გაზაფხულისათვის თელავის საწარმოო სამმართველოში მარტო აკურელები როდი არძან მზად. კონდოლის კოლმეურნეობა მრავალდარგოვანია, ვენახების ფართობმა 300 ჰექტარს გადაამტა. ხორბალი ბევრი უთესიათ, „მინდვრის დედოფლისათვის“ 150 ჰექტარზე მეტი მზრალი მოხნეს. კონდოლელებმა ყველა კულტურის მოსავლის სიუხვე იკისრეს, და გვჯერა, რომ შეასრულებენ კიდეკაც, ამას ტექნიკის სიჯანსაღე ადასტურებს. მანქანა-იარაღები საგულდაგულოდ შეაკეთეს, დაზეთეს და კეთილმოწყობილ ფარდულში შეინახეს. ტექნიკის ყადრი, მისი მოვლა-პატრონობა კარგად იციან ნაფარეულში, კისისხევში, ლაფანყურში, წინანდალში.**

**ბოდინარე** სტორის მარჯვენა მხარეს ლალისყურის კოლმეურნეობის ზვრები, ველ-მინდვრებია გადაჭიმული. აქ მიწა ნაყოფიერია, წყალი არ აკლია, მაგრამ რა გამოვიდა? მოსავალს მცირეს იღებენ. ამის მიზეზი ტექნიკის სათანადოდ გამოუყენებლობაა. შარშან 15-ძალიანი ტრაქტორის დატვირთვამ 238 ჰექტარს ვერ გადამეტა. ასე მოხდა იმიტომ, რომ ტრაქტორებს არ უვლიან, ტექნიკური მიზეზების გამო ხშირად ჩერდებიან, ზოგჯერ არადანშნულებისადმი იყენებენ. „დტ-54“ მარკის ტრაქტორით კვეკასიონის მთებიდან სხვადასხვა პირებისათვის დიდძალი წიფლის მორი ჩამოზიდეს და სხვ.

**მანქანა-იარაღები ტალახში ყრია, „დტ-54“ მარკის ტრაქტორის მრავალი ნაწილი მიწით არის დაფარული. „კდ-35“ მარკის ტრაქტორი ფარდულთან შემოდგომის პირზე მიუტანიათ და მის შემდეგ არ გახსენებიათ, „დტ-29“ მარკის ტრაქტორს „გულ-ღვიძლი“ გამოცლილი აქვს. საღი ნაწილი მხოლოდ საყვირი დარჩენია. სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანა, კულტივატორი თუ სხვა მანქანა-იარაღები უწესრიგოდ ყრია. ვერ ვნახეთ ისეთი მანქანა, რომელსაც „სუნთქვა“ შეეძლოს. კ. იჩუაიძემ, რომელიც მანქანა-იარაღებს ყარაულობს, თქვა: — სადაც არის გაზაფხული შემოანთებს, და ჯერ მანქანა-იარაღებზე არავის არ უზრუნია.**

**პარტიულ სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე ფ. ხატელაშვილი სხვაგან წასულა, თავისი მოვალეობა ა. ალადაშვილისათვის „გადაულოცია“, მაგრამ რა გამოვიდა, ამ უკანასკნელს გაზაფხულისათვის

# ახალი შესანიშნავი ექსპერიმენტი კოსმოსში



ეროვნული ბიბლიოთეკა

**საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების პრეს-კონფერენცია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში**

მოსკოვი, 6 თებერვალი. (საკდესის კორ.). დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიოში ახალმა შესანიშნავმა კოსმოსურმა ექსპერიმენტმა, რომელიც საბჭოთა კავშირმა მოაწყო, — სამეცნიერო სადგურების (დედამიწის თანამგზავრების) „ელექტრონი-1“ და „ელექტრონი-2“-ს გაშვებამ. ამ მოვლენას მიეძღვნა საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების პრეს-კონფერენცია, რომელიც დღეს მოაწყეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტმა.

პრეს-კონფერენცია გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა.

1957 წლის 4 ოქტომბერს საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ კოსმოსის გზა გაკაფეს, თქვა მან. ორბიტაზე გავიდა მსოფლიოში პირველი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი. დაიწყო ისტორიული ეტაპი კოსმოსური სივრცის გეგზაზომიერ კვლევაში. ამ გზაზე ახალი დიდმნიშვნელოვანი ნიშნესვეტი იყო საბჭოთა კოსმოსური რაკეტების გაფრენები მთვარეზე. რამაც მეცნიერებას ფუნდამენტალური მნიშვნელობის აღმორჩენები შესძინა, — მთვარის მეორე მხარის ფოტოსურათები და იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ მთვარეს არა აქვს არსებითი მაგნიტური ველი.

კოსმოსის შემდგომ შესწავლაში საბჭოთა მეცნიერების, კონსტრუქტორებისა და ინჟინრების უდიდესი წვლილი იყო კოსმოსურ სივრცეში ადამიანის გაფრენა, რაც პირველი იყო მსოფლიოში.

დედამიწის თანამგზავრებმა და ავტომატურმა სპალანეტათშორისო სადგურებმა ადგილი დაიმკვიდრეს კოსმოსური სივრცის, აგრეთვე მზის სისტემის პლანეტების კვლევის ტექნიკურ საშუალებათა არსენალში. ყოველივე ამან გამოიწვია ახალი კოსმოსური მეცნიერების — კოსმოსური ფიზიკის შექმნა.

ამჟამად დიდმნიშვნელოვანი ცნობებია მიღებული ატმოსფეროს ზედა ფენების სტრუქტურისა და იმის შესახებ, თუ რამდენად არის დამოკიდებული ატმოსფეროს სიმკვრივე და წნევა „მზის მოქმედებაზე, აღმოჩენილია ეგრეთწოდებული იონოსფერული „ეთოვრვრკვინი“, რომელიც 20.000 კილომეტრამდეა გადაჭიმული, საპლანეტათშორისო სივრცეში პირველად აღმოაჩინეს ექსპერიმენტულად კორპუსკულების ნაკადები, რომლებსაც მზე აფრქვევს, მიღებულია მონაცემები დედამიწის მაგნიტური ველის სტრუქტურის შესახებ ღედამიწის რამდენიმე რადიუსის მანძილზე, შედგენილია 220-300 კილომეტრ სიმაღლეზე კოსმოსური გამოსხივების ინტენსივობის განაწილების პლანეტური რუკა, ბრაზილიის მაგნიტური ანომალიის რაიონში აღმორჩენილია ანომალიური დიდი ინტენსივობის გამოსხივება და ბევრი სხვა რამ.

დედამიწის მახლობელი კოსმოსური სივრცის შესწავლაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევაა, თქვა მ. ვ. კელდიშმა, დედამიწის რადიაციული სარტყლების აღმოჩენა.

დედამიწის რადიაციული სარტყლები ძალიან რთული წარმონაქმნია როგორც თავისი ბუნებით, ისე აგებულებით.

დღემდე ცნობილი არ არის მათი წარმოქმნის მექანიზმი. რთული ფიზიკური პროცესების მთელი კომპლექსი, რომელთა მეშვეობითაც ისინი არსებობენ, ახალი ცდების მოწყობას მოითხოვს. ამ ცდების თავისებურება ის არის, რომ საჭიროა ერთდროულად გზომვების მოწყობა დედამიწის მახლობელი კოსმოსური სივრცის სხვადასხვა წერტილში.

ამოცანის ასეთმა დასმამ საჭიროა მოითხოვა სპეციალური კოსმოსური სისტემის შექმნა, რომელიც რამდენიმე თანამგზავრისაგან შედგება. ეს თანამგზავრები არსებითად განსხვავებულ ორბიტებზე გაძაყავთ. კოსმოსური სისტემა „ელექტრონი“ პირველი ასეთი სისტემაა.

მძლავრი მატარებელი რაკეტის საშუალებით საბჭოთა სადგური „ელექტრონი-1“ გავიყვანეთ ორბიტაზე, რომლის აპოგეა 7.000 კილომეტრი, და სამეცნიერო სადგური „ელექტრონი-2“ — ორბიტაზე, რომლის აპოგეა დაახლოებით 70.000 კილომეტრია.

ამ სადგურებში ხორციელდება დედამიწის რადიაციული სარტყლებისა და მათთან დაკავშირებული ფიზიკური მოვლენების ერთიანი კვლევა ერთიანი პროგრამით. ეს პროგრამა ითვალისწინებს დედამიწის რადიაციულ სარტყლებში შემავალი მცირე და დიდი ენერგიების ნაწილაკების კვლევას, დედამიწის მაგნიტური ველებისა და რადიაციული სარტყლების, კოსმოსური სხივების, დედამიწის მახლობელი კოსმოსური სივრცის ქიმიური შედგენილობის, მზის მოკლეტალღიანი გამოსხივებისა და გალაქტიკების, მიკრომეტეორიტების რადიოგამოსხივების კვლევას. აღნიშნული კვლევის წარმოება წესრი მზის საერთაშორისო წლის პერიოდში, რომელიც 1964 წლის 1 იანვარს დაიწყო, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ცდებს.

მიღებული შედეგები ფართოდ გამოქვეყნდება მეცნიერულ პრესაში და საბჭოთა მეცნიერების წვლილი იქნება წყნარი მზის საერთაშორისო წლის პროგრამის განხორციელებაში.

ეს პრეს-კონფერენცია მიზნად ისახავს ვააცნოს მსოფლიო საზოგადოებრიობას კოსმოსური სადგურების „ელექტრონი-1“ და „ელექტრონი-2“-ს სისტემის მეცნიერული ამოცანები.

ჟურნალისტებს წარუდგინა მეცნიერები, რომლებიც ამ ამოცანებზე იკანაკრაკენენ. ესენი არიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ს. ნ. ვერნოვი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ი. დ. კალინინი და ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი კ. ი. გრინგაუზი.

თანამგზავრებიდან „ელექტრონი-1“ და „ელექტრონი-2“ მრავალფერადი და უზარმაზარ ინფორმაციას ვიღებთ, განაცხადა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. ნ. ვერნოვმა.

მიღებული მონაცემები მოწმობენ, განაგრძო ს. ნ. ვერნოვმა, რომ სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს. მეცნიერმა განმარტა, რომ თანამგზავრებმა უნდა უზრუნველყონ „კოსმოსური სივრცის ხანგრძლივი პატრულობა და საშუალება მოგვეცეს აღმოვაჩინოთ იშვიათი, მაგრამ უაღრესად საინტერესო მოვლენები, რომლებიც მაშინ წარმოიშვება, როცა დედამიწა კორპუსკულურ ნაკადებში მოჰყვება. ამ ნაკადებს მზე აფრქვევს“.

ს. ნ. ვერნოვმა ქმაყოფილებით აღნიშნა, რომ მოსკოვის ხელშეკრულება კოსმოსში ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ საშუალებას გვაძლევს დაუბრკოლებლად შევისწავლოთ რადიაციული სარტყლები.

მეცნიერმა აღნიშნა, რომ გარე რადიაციული სარტყელი, რომელიც ხუთი წლის წინათ აღმოაჩინეს, კვლავ საიდუმლოებად რჩება. ჰიპოტეზა შიდა რადიაციული სარტყლის წარმოშობის მექანიზმის შესახებ, რომელიც ჯერ სსრ კავშირში, ხოლო შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში წამოაყენეს, ვერ ხსნის გარე სარტყლის არსებობას. ს. ნ. ვერნოვმა გამოთქვა აზრი, რომ დედამიწის მახლობლად ათასობით და ათი ათასობით კილომეტრზე მოქმედებს ნაწილაკების თავისებური „კოსმოსური ამჩქარებელი“. მისი ბუნების ასახსნელად საჭიროა სისტემა, რომელიც მთელი რიგი თანამგზავრებისაგან შედგება.

ერთ-ერთი თანამგზავრის საშუალებით იკვლევენ დედამიწის შიგა რადიაციურ სარტყელს და მასთან ყველაზე მახლობელ გარე რადიაციული სარტყლის „განშტოებებს“, ამავე დროს მეორე სამეცნიერო სადგური კვლევს გარე სარტყელს და მიდის მის ფარგლებს გარეთ საპლანეტათშორისო სივრცეში, სადაც არ უნდა იყოს რადიაციური სარტყლების ნაწილაკები და სადაც გამოსხივების ძირითადი სახეობაა კოსმოსური სხივები.

ს. ნ. ვერნოვმა ხაზგასმით აღნიშნა: ის, რომ ორივე თანამგზავრზე არის იდენტური აპარატურა, საშუალებას გვაძლევს დავხატოთ რადიაციურ სარტყელთა სივრცითი განლაგების სურათი. აპარატურის ნაწილი მოთავსებულია ჰერმეტული კონტეინერის შიგნით. ეს ხელსაწყოები რეგისტრაციას უწევენ საკმაოდ მაღალი ენერგიების ნაწილაკებს. ნაკლები ენერგიების ნაწილაკებს აღნიშნავენ კონტეინერის გარე ზედაპირზე დადგმული ხელსაწყოები. გამოსხივების დეტექტორები დაფარულია მხოლოდ მილიმეტრის რამდენიმე მეათასედი ნაწილის სისქის ნივთიერების უთხელესი ფენებით.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის კ. ი. გრინგაუზის გამოსვლა მიეძღვნა კოსმოსის იმ სფეროს, რომელიც მდებარეობს უშუალოდ რადიაციული სარტყლების იქით.

— საქმე ეხება შედარებით მცირე ენერგიების ელექტრონების ინტენსიური ნაკადების არსებობის ზონას, ხაზი გაუსვა მეცნიერმა, ეგრეთწოდებულ დამუხტული ნაწილაკების ყველაზე გარე სარტყელს.

როგორც ცნობილია, საბჭოთა მთვარის რაკეტების ცდებში 1959 წელს საპლანეტათშორისო სივრცეში პირველად აღმოაჩინეს მზის კორპუსკულური ნაკადები და განსაზღვრეს, თუ როგორია ამ ნაკადების სიმკვრივე. შემდგომმა მაგნიტურმა გაზომვებმა გვიჩვენეს, რომ მაგნიტური ველი ამ სფეროში, რომელიც დედამიწას დაშორებულია 50.000-დან 75.000-მდე კილომეტრით, განუწყვეტლივ იცვლება როგორც სიდიდით, ასევე მიმართულებით. ეს მონაცემები მოწმობენ, რომ ელექტრონებს ამ ზონაში არ მოიცავს დედამიწის მაგნიტური ველი, რადგანაც აქ არ შეიძლება იყოს მაგნიტური მახე დამუხტული ნაწილაკებისათვის.

სადგურ „ელექტრონი-2“-ის გაზომვებმა უნდა შეავსონ ამჟამად არსებული ცნობები დამუხტული ნაწილაკების ყველაზე გარე სარტყლის შესახებ. გარდა დამუხტული ნაწილაკების ჩვეულებრივი სამელექტროდიანი მასისა, რომლის საშუალებითაც მეცნიერებს იმედი აქვთ მიიღონ უკვე არსებული მონაცემების შესადარებელი შედეგები, კოსმოსურ სადგურზე „ელექტრონი-2“ დადგმულია სფერული ელექტროსტატისტიკური ანალიზატორი-ხელსაწყო, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავზომოთ ელექტრონების განაწილება ენერგიების მიხედვით 100-დან 10.000-მდე ელექტრონ-ვოლტის ფარგლებში.

კოსმოსური სადგურის „ელექტრონი-2“-ის საშუალებით დაყენებული ექსპერიმენტი დაგვეხმარება გავარკვიოთ, კერძოდ, არსებობს თუ არა დამუხტული ნაწილაკების ყველაზე გარე სარტყელი დედამიწა-მზის მიმართულების საწინააღმდეგო მიმართულებით.

— მესამე საბჭოთა ხელოვნურ თანამგზავრზე მსოფლიოში პირველად განხორციელდა დედამიწის მაგნიტური ველის შესწავლა რამდენიმე ასეული კილომეტრ სიმაღლეზე, — ასე დაიწყო თავისი სიტყვა პრეს-კონფერენციაზე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა ი. დ. კალინინმა. მთელი რიგი ექსპერიმენტების შემდეგ, განაცხადა მან, საბჭოთა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დედამიწის მაგნიტურ ველზე გარე რადიაციური ზონის რაიონში დადებულია წრიული ელექტრული დენის მაგნიტური ველი, რომელიც გარს აკრავს ჩვენს პლანეტას იონოსფეროს ფარგლებს გარეთ. გამოირკვა აგრეთვე, რომ მთვარეს არა აქვს შესამჩნევი მაგნიტური ველი.

სადგური „ელექტრონი-2“, ხაზი გაუსვა მეცნიერმა, განკუთვნილია სპეციალურად გარე რადიაციური სარტყლის შესასწავლად და გათვალისწინებულია ხანგრძლივი მუშაობისათვის. ამრიგად, ჩვენმა მეცნიერებმა დაიწყეს გარე რადიაციური სარტყლის მაგნიტური ველების კვლევა, რათა შეისწავლონ მათი ვარიაციები დროის მიხედვით.

მკვლევარებს იმედი აქვთ კოსმოსის უშუალო გაზომვების მეთოდით გაარკვიონ — რა მოსდის დედამიწის გარე რადიაციურ ზონას გეომაგნიტური ქარიშხლების დროს.

სადგური „ელექტრონი-2“ საშუალებას მოგვცემს აგრეთვე გავარკვიოთ, როგორ იცვლება დედამიწის მაგნიტური სფეროს საზღვრების სიმაღლე დროის მიხედვით, ესე იგი დედამიწის მახლობელი სივრცის ის სფერო, სადაც ელექტრობით დამუხტული ნაწილაკების მოძრაობით მართავს პლანეტის მაგნიტური ველი. მეცნიერები ფიქრობენ, რომ მაგნიტური ქარიშხლების დროს ეს საზღვარი უფრო უახლოვდება დედამიწას მზიდან მომავალი კორპუსკულური ნაკადების ზემოქმედებით.

კორესპონდენტთა შეკითხვების პასუხად აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა განაცხადა, რომ ერთი რაკეტის საშუალებით ორბიტაზე შეიძლება გაყვანილ იქნეს ორი და მეტი თანამგზავრი. რა თქმა უნდა, დასძინა მან, რაც უფრო მეტია სხვადასხვა ორბიტის თანამგზავრი, ტექნიკურად ეს მით უფრო რთულია. მაგრამ ამას შეიძლება მივაღწიოთ და, თუ საჭირო იქნება, განვახორციელებთ კიდეკაც.

იმასთან დაკავშირებით, რომ 5 თებერვლიდან „ელექტრონი-2“ რამდენიმე დღის განმავლობაში არ იქნება საბჭოთა სამეცნიერო სადგურების დაკვირვების არეში, კორესპონდენტებმა იკითხეს, ხომ არ შეიძლება მოეწყოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის დაკვირვების სადგურებთან. მ. ვ. კელდიშმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მეცნიერებს არ ესაჭიროებათ ეს, რადგან სადგურებზე არის დამამახასიათებელი მოწყობილობანი, რომლებიც გადმოგვცემენ მთელ ინფორმაციას, როცა თანამგზავრი დაბრუნდება ხილვადობის სფეროში.

თუ უცხოეთის რომელიმე სადგური, განაგრძო პრეზიდენტმა, სურვილს გამოთქვამს მიიღოს ინფორმაცია, ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ ეს საკითხები.

აკადემიკოსმა კელდიშმა აღნიშნა, რომ სისტემის გაშვების ერთ-ერთი მიზანია ის, რომ შევისწავლოთ რადიაცია დიდ სიმაღლეზე და განვსაზღვროთ, თუ რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ დავიცვათ ადამიანი მომავალი გაფრენების დროს. მ. ვ. კელდიშმა შენიშნა, რომ აფეთქებათა შემდეგ, რომლებიც ამერიკელებმა მოაწყეს დიდ სიმაღლეებზე, გაძლიერდა რადიაცია კოსმოსში და ამან საბჭოთა მეცნიერების დიდი შეშფოთება გამოიწვია. პრეზიდენტმა განმარტა, რომ სარტყლის ასეთ მაღალ სფეროებში რადიაცია განსაკუთრებით მტკიცეა.

უპასუხა რა კითხვებზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს კოსმოსური სადგურების „ელექტრონის“ გამოკვლევებს კოსმოსში ადამიანის მომავალი გაფრენისათვის, გ. ვ. კელდიშმა თქვა:

— თუ გინდა იმოგზაურო, უნდა იცოდე, რა ვითარებაა იქ. ეს უნდა გაკეთდეს სწორედ კოსმოსურმა სადგურებმა.

მეცნიერი კვლავ შეეხო სადგურების „ელექტრონის“ ახლანდელი ფრენის ხანგრძლივობის საკითხს და განაცხადა, რომ ბალისტიკურად ეს სადგურები მრავალი წლის განმავლობაში იფრენენ. მაგრამ ჩვენ ახლა ვერ ვიტყვით, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება კავშირი, რადგან ცნობილი არ არის, როგორი იქნება ზემოქმედება აპარატურაზე რადიაციულ სარტყელში. აკადემიკოსმა აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა აფეთქებანი მოაწყეს კოსმოსში, მწყობრიდან გამოვიდნენ რამდენიმე თანამგზავრის, კერძოდ „ტელესტარის“ მზის ბატარეები.

მ. ვ. კელდიშმა ერთ-ერთ თავის პასუხში აღნიშნა, რომ „ჩვენ შეგვიძლია პრინციპულად ყოველ სიმაღლეზე გავუშვათ ცოცხალი ორგანიზმი, მაგრამ ასეთი ექსპერიმენტი დიდ უსაფრთხობას მოითხოვს“.

ერთ-ერთი კითხვა შეეხო იმას, თუ როგორია და რა პერსპექტივები აქვს საბჭოთა და ამერიკელი მეცნიერების თანამშრომლობას კოსმოსის ათვისების დარგში.

პრეს-კონფერენციის დამსწრე აკადემიკოსმა ა. ა. ბლაგონრავოვმა თქვა:

— ამჟამად, როგორც ცნობილია, ორბიტაზე მყოფ ამერიკულ თანამგზავრს „ეკო-2“-ს ჩვენში აკვირდებიან ოპტიკური ინსტრუმენტების საშუალებით და ამ დაკვირვებათა შედეგების მეთ მონაცემებს დაუყოვნებლივ ვუგზავნით შეერთებულ შტატებს.

21 თებერვალს ჩვენ ვიწყებთ რადიოსიგნალების მიღებას ინგლისის „ჯოდრელ ბენკის“ სადგურის საშუალებით, რადიოსიგნალებს მივიღებთ ამ თანამგზავრის ანარეკლის გზით.

ვფიქრობ, ხაზი გაუსვა მეცნიერმა, რომ რაც უფრო მეტი იქნება ურთიერთგაგება, მით უფრო მეტად აღმოიფხვრება დაბრკოლებანი თანამშრომლობის ფართოდ განვითარების გზაზე, და იგი სულ უფრო მეტად განვითარდება. სამწუხაროდ, ამჟამად ჯერ კიდევ არის ზოგიერთი სიძნელე, მაგალითად, არ არის სრული შეთანხმება სამართლებლივ საკითხებზე კოსმოსში. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს დაბრკოლებანი თანდათანობით აღმოიფხვრება.

**მშენებლობის ხარაჩოები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.**

**ახალშენებათა დიდი რაიონია ტერიტორია ალექსანდერპლაცსა და შტრაუსბერგერ პლაცს შუა, სადაც ომის შედეგად ქალაქი ყველაზე მეტად იყო დანგრეული. ბერლინის მთავარ მაგისტრალს კარლ-მარქს-ალეეს რომ ჩაივლი, ხედავ, რომ აქ ყველაფერი პირდაპირ თვალდათვალ იცვლება.**

**სურათზე: „მასწავლებლისა და მეცნიერის სახლის მაღალი შენობა მალე მინის „სასახლედ“ გადაიქცევა.**

**ფოტო ადნ-საკდესისა.**

## საერთაშორისო დეკადური ცხოვრება

## სტუმრად ავსტრიაში

**ვენა, 6 თებერვალი (საკდესი).** საბჭოთა კოსმონავტი პაველ პოპოვიჩი, რომელიც ავსტრიის მთავრობის მოწვევით ჩამოვიდა, დღეს მიიღო ფედერალურმა კანცლერმა ა. გორბახმა.

გულთბილი საუბრის მსვლელობაში კანცლერი ა. გორბახი დაინტერესდა პ. რ. პოპოვიჩისა და მისი მეგობარი კოსმონავტების ვარსკვლავეთის რეისებით. კანცლერმა თქვა, რომ იგი აღტაცებულია კოსმოსის მკვლევართა გმირობით და რომ მათ დიდი ვაჟკაცობა და გამბედაობა გამოიჩინეს ვარსკვლავებისაკენ გზის გაკაფვაში.

დაე ამ მცირე საჩუქარმა განამტკიცოს დიდი მეგობრობა, თქვა კანცლერმა გორბახმა, როცა პ. რ. პოპოვიჩს გადასცა სამახსოვრო საჩუქარი — ვერცხლის თეფში.

## ლ. ჯონსონის დაპირება

**ნიუ-იორკი, 7 თებერვალი (საკდესი).** ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა სიტყვა წარმოთქვა გუშინ ნიუ-იორკში „ჯოზეფ კენედის ხსოვნის ფონდის“ ყოველწლიურ სადილზე, რომელიც კენედის ოჯახმა დააწესა.

ლ. ჯონსონმა კვლავ განაცხადა, რომ აპირებს განაგრძოს განსვენებული პრეზიდენტის ჯონ კენედის მეცადინეობა, რომლის მიზანია მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა. „ჩვენ,—განაცხადა მან,—ვიცხოვრებთ ისე, რომ გავამართლოთ მისი იმედები“.

ამ სადილზე, რომელიც თავდაპირველად დაგეგმილი იყო 1963 წლის 4 დეკემბრისათვის, მისვლას აპირებდა ჯონ კენედი, მაგრამ მისი ტრაგიკული დაღუპვის გამო სადილი მხოლოდ გუშინ გაიმართა.

## ჯილდო — ოქროს მედალი

საკვეყნოდ ცნობილ მხატვარს პაბლო პიკასოს მიენიჭა ესპანეთის მხატვარგრავერთა ასოციაციის ოქროს მედალი ერთ-ერთი პორტრეტის შექმნისათვის.

## პოლიციას დანეგდა მაფიის მეთაური

**რომი, 6 თებერვალი (საკდესი).** ჯუზეპე ჯენკო-რუსო, რომელიც მიაჩნიათ სიცილიის მაფიის მეთაურად, დანებდა ქალაქ კალტანისეტის პოლიციას მას შემდეგ, რაც ამალებოდა ერთი თვის განმავლობაში. მაფია ბანდიტური ორგანიზაციაა, რომელიც სიცილიელმა მემამულეებმა შექმნეს პროგრესული ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამასთან დაკავშირებით გაზეთები აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ მუნიციპალურ არჩევნებში ჯენკო-რუსო აირჩიეს ქალაქ მუსომელის მუნიციპალურ მრჩეველად ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის სიით.

## ნატოს გენერალური მდივანი ვაშინგტონში

**ვაშინგტონი, 6 თებერვალი (საკდესი).** გუშინ ნატოს გენერალურ მდივანს სტიკერს, რომელიც ახლა ვაშინგტონში იყოფება, საუბარი ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჯონსონთან. დღეს დილით სტიკერი ბენტგოლში შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრს მაკნამარას.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, სტიკერის მოლაპარაკება ვაშინგტონში ეხებოდა ნატოს პრობლემებს და კვიპროსის მდგომარეობას.

## „ენთუზიასტი“




ეს კაცი ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის გულმხურვალე მომხრეა?

— არა, ალმების ფაბრიკის პატრონია.

„ფიგარო“, პარიზი.

## საჭიროა დაძაბულობის შენელების კონკრეტული ღონისძიებანი

**ჟენევა, 6 თებერვალი. (საკდესი).** დღეს 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში განხილავდნენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა საკითხს. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ს. კ. ცარაპკინმა კომიტეტის უყურადღება მიაპყრო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადებას და ატომურ იარაღზე სრული უარისთქმის შესახებ ორივე გერმანული სახელმწიფოს ხელშეკრულების პროექტს, რომელიც ამ მთავრობამ წარმოადგინა. საბჭოთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა შეთანხმებას იმის შესახებ, რომ ორივე გერმანული სახელმწიფო უარს იტყვის ატომურ იარაღზე, არ უკავშირებს ამ სახელმწიფოთა მიერ ერთმეორის დიპლომატიურ ცნობას თუ არცნობას. მაშასადამე, ხაზგასმით აღნიშნა ს. კ. ცარაპკინმა, დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს არა აქვთ საფუძველი თავი აარიდონ შეთანხმებას ამ საბაბით.

საბჭოთა წარმომადგენელმა კომიტეტის წევრებს გააცნო საბჭოთა მთავრობის მიმართვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი, რომელშიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის უარადდებას აქცევს იმას, თუ რა უადრესად საშიში ხასიათი აქვს სამხედრო ღონისძიებებს, რომლებიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ხორციელდება, და, კერძოდ, იმას, რომ დასავლეთ გერმანიის მრეწველობა იწყებს მართული უუმბარების, სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების სამხედრო რაკეტების წარმოებას.

თუ 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტს სურს მიაღწიოს დადებით შედეგებს რაკეტულ-ატომური ომის საფრთხის შემცირების, ატომური იარაღის გავრცელების თავიდან აცილების კონკრეტულ ღონისძიებათა განხილვის დროს, ხაზგასმით აღნიშნა სსრ კავშირის წარმომადგენელმა, მაშინ მან უნდა მიაღწიოს იმას, რომ ბუნდესვერმა, რევანშისტებმა და ნატოს სტრატეგებმა ვერ ჩაფუშონ ჩვენი მუშაობა, რომელსაც დიდი საარსებო მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის. ს. კ. ცარაპკინმა შოუწოდა კომიტეტის წევრებს მხარი დაუჭირონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინადადებებს.

პოლონეთის წარმომადგენელმა მ. ნაშკოვსკიმ, როცა ჩამოთვალა თავისი მთავრობის პოზიცია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა საკითხში, წამოაყენა წინადადება უწინარეს ყოვლისა მიაღწიონ შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო ხარჯების შემცირებას. მან გიმეორა პოლონეთის წინადადება, რომ ევროპაში შეიქმნას ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონა, და ვ. გომულკამ მიერ წამოყენებული იდეა „ატომური იარაღის გაყინვისა ცენტრალურ ევროპაში“.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ლ. შიმოვიჩმა მხარი დაუჭირა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადებებს და ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ღონისძიებებს, რომლებსაც სსრ კავშირის მთავრობის 28 იანვრის მემორანდუმი შეიცავს.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა უ. ფოსტერმა წამოაყენა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც, მისი აზრით, ხელს შეუშლიან ატომური იარაღის გავრცელებას. მან, ისევე როგორც იტალიისა და ინგლისის წარმომადგენლებმა, დაიცვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკა და გაამართლა „ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების“ შექმნა და უარყო, რომ ეს არის ატომური იარაღის გავრცელება. ამასთან ამერიკის დელეგატმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ მიიღებენ მონაწილეობას იმ დოკუმენტების განხილვაში, რომლებიც წარუდგინა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ.

## ლ. ჯონსონი — ნიუ-იორკელ ებრაელთა ლიდერი

**ნიუ-იორკი, (საკდესი).** კუბის საგარეო საქმეთა მინისტრმა რაულ როამ ნოტაში, რომელიც 4 თებერვალს გაუგზავნა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს, ხაზი გაუსვა, რომ კუბის მთავრობა გმობს აგრესიულ აქტს, რომელიც ჩაიდინეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, — შეიპყრეს კუბის ოთხი თევზსაჭერი გემი საერთაშორისო წყლებში.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, ნათქვამია ნოტაში, თავის დროზე ეცნობა, რომ რაიონი, სადაც შეიპყრეს გემები, გამოყენებული იქნებოდა თევზის საჭერად. ეს იმიტომ ეცნობა, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული ყოველგვარი ინციდენტი, რომელიც კი გააღრმავებდა დაძაბულობას ორ ქვეყანას შორის.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამას ტიპიური მეკობრული აქტით უპასუხეს, დაარღვიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და გაამწვავეს კარიბის კრიზისი.

ამჟამად ოთხი შეპყრობილი გემი ეკიპაჟებითურთ იმყოფება ამერიკის კი — უესტის სამხედრო-საზღვაო ბაზაში.

ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გამოიყენა ძალა და სავსებით უგულებელყო საერთაშორისო შეთანხმებები და საერთაშორისო სამართალი, ქმნის ისეთ ვითარებას, რომელიც განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს. ამ ვითარებას ყურადღება უნდა მიაქციოს უშიშროების საბჭომ.

რაულ როა მოითხოვს დაუგზავნონ ეს ნოტა უშიშროების საბჭოს წევრებს.

## ვაშინგტონმა ელჩი გაიწვია განიდან

**ვაშინგტონი, 6 თებერვალი (საკდესი).** აქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ შეერთებულმა შტატებმა განიდან „საკონსულტაციოდ“ გაიწვიეს თავიანთი ელჩი უილიამ მეხონი. როგორც აქ ხაზგასმით აღნიშნავენ, ეს დიპლომატიური ნაბიჯი, რომელიც მოჰყვა აკრაში გამართულ ამერიკის საწინააღმდეგო დემონსტრაციას, განასთან ურთიერთობის გაწყვეტა როდია, არამედ გადაიდგა იმ მიზნით, რომ „უკმაყოფილება“ გამოეთქვათ განის მთავრობისადმი.

## კუბის ნოტა ამერიკის მთავრობას

**ჰავანა, 6 თებერვალი. (საკდესი).** კუბის საგარეო საქმეთა მინისტრმა რაულ როამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომელშიც თავისი ქვეყნის რევოლუციური მთავრობის სახელით აცნობებს: იმის პასუხად, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტმა თვითნებურად იგდო ხელთ კუბის თევზსაჭერი გემები და უკანონოდ დააპატიმრა მეგადურები, კუბის რევოლუციურმა მთავრობამ გადაწყვეტა წყლის მიწოდება შეუწყვიტოს ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გუანტანამოს ბაზას. ეს ზომა გაუქმდება მხოლოდ მაშინ, აღნიშნულია ნოტაში, როცა შეერთებული შტატები გაათავისუფლებენ კუბის თევზსაჭერი ფლოტილიის გემებსა და მათი ეკიპაჟების წევრებს.

## კუბა გმობს...

## ცივი ომის აქტი

### ფიდელ კასტროს გამოსვლა

**ჰავანა, 7 თებერვალი (საკდესი).** ჰავანის პრეზიდენტის სასახლეში გუშინ საღამოს გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც კუბის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ განუმარტა უცხოელ ჟურნალისტებს კუბის მთავრობის პოზიცია ამასთან დაკავშირებით, რომ შეერთებულმა შტატებმა შეიპყრეს კუბის ოთხი სათევზაო გემი და დაიკავეს მათი ეკიპაჟები.

უკანასკნელ თვეებში, განაცხადა ფიდელ კასტრომ, ჩვენ ვცხოვრობდით შედარებით მშვიდ ვითარებაში. კუბის სათევზაო გემების შეპყრობა საერთაშორისო წყლებში — ეს არის აქტი ცივი ომისა კუბის წინააღმდეგ, ეს არის აგრესიის აქტი.

უკანასკნელ ხანს ჩვენ ვავითარებდით სათევზაო ფლოტს. ავაშენეთ რამდენიმე გემი, თქვა მან. ისინი რეწვას აწარმოებენ მექსიკის ყურეში, საერთაშორისო წყლებში. ის, თუ სად იქნებოდნენ ჩვენი სათევზაო გემები, წინასწარ ვაცნობეთ შეერთებულ შტატებს შვეიცარიის საელჩოს საშუალებით, რომელიც ამერიკის ინტერესებს წარმომადგენელია კუბაში, თუმცა ჩვენ მოვალენი არა ვართ ვაცნობოთ ამგვარი ინფორმაცია.

ამასთან დაკავშირებით, თქვა შემდეგ ფიდელ კასტრომ, კუბის მთავრობა იძულებული იყო მიეღო სასპასუხო ღონის

# სიმღერა-კანტატა პარტიაზე

ლექსი ხუტა ბერულავასი

მუსიკა რევაზ გაბიჩვაძისა



დიდება იმ დღეს, რომელ დღესაც შენ დაიბადე!
შენ დაბადე და ამაღლდა ჩვენი პლანეტა (ორჯერ).
ხალხმა ერთადერთს განდო თვისი დიდი სიმამრთლე,

და ბობოქრობა ოკეანეთა.
პარტია!
დიდება პარტიას
და გამარჯვება მარადუამს!

მას ხამუდამოდ გაუთენე დილა მზიანი,
წინ მიისწრაფვი და მივუვებით შენს დიად ძახილს (ორჯერ).
შენი რიგები ურუევია და ერთიანი,

შენი მიზანი — სიკეთე ხალხის.
პარტია!
დიდება პარტიას
და გამარჯვება მარადუამს!

დიდება დროშას, ნიადაგ რომ დაგვნათის მზიხებრ,
როგორც ხათავე სიმაუის, იმედის, რწმენის (ორჯერ).
რომლითაც მიგაყავს კომუნისტურ ხვალინდელ დღისკენ

ძლევამოსილი სამშობლო ჩვენი!
პარტია!
დიდება პარტიას
და გამარჯვება მარადუამს!

# ბრეჰტის გმირები ქართულ სცენაზე

გუშინ ვ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მორიგი პრემიერა გაიმართა. წარმოდგენილ იქნა გამოჩენილი გერმანელი მწერლისა და დრამატურგის ბერტოლდ ბრეჰტის ცნობილი პიესა „სამგროშიანი ოპერა“.

პრემიერის შემდეგ გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა სპექტაკლის დამდგმელს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს დ. ალექსიძეს, რომელმაც თქვა:

— თანამედროვე მსოფლიო კარგად იცნობს ბრეჰტის სახელს. ამჟამად თითქმის არ არის ასე პოპულარული მეორე დრამატურგი. ბრეჰტი იყო ანტიფაშისტი, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი. ამიტომ მრენიჭა მას საერთაშორისო ლენინური პრემია.

ბრეჰტი მწვავე სოციალური პრობლემების უნიჭიერესი მწერალია. იგი საოცარი მხატვრული ძალით ამხილებს ბურჟუაზიული სამყაროს ზნეობრივ დაცემასა და. გადაგვარებას, ამხილებს იმ სოციალურ უთანასწორობას, რომელიც ასე მწვავედ ღრღნის კაპიტალიზმს.

მეოცე საუკუნის თეატრალურ სამყაროში ბრეჰტი ცნობილია როგორც ნამდვილი ნოვატორი. „ეპიკური თეატრის“ მისმა თეორიამ თავისი პრაქტიკული გამართლება „ბერლინის ანსამბლის“ თეატრში ჰპოვა. ეს არის ღრმად ეროვნული და ამასთანავე ჭეშმარიტად ინტერნაციონალური ბუნების შემოქმედი. დრამატურგი წერდა, რომ მხატვრული ქმნილების გახსნისას საჭიროა „გამოვავლინოთ პირველადი იდეური სიმდიდრე ნაწარმოებისა, ჩავწვდეთ მის ეროვნულ და ამასთან ერთად ინტერნაციონალურ მნიშვნელობას“.

ბრეჰტს ეკუთვნის მრავალი პიესა. მათ შორის აღსანიშნავია „სამგროშიანი ოპერა“. იგი ავტორმა 1928 წელს დაწერა. პიესის მოქმედება ლონდონში ხდება. ეს არის პამფლეტი ბურჟუაზიულ სამყაროზე. იგი დაწერილია საოცარი სარკაზმით, მამხილებელი პათოსით. პიესა ნამდვილი მაღალი მოქალაქეობრივი სულისკვეთებით არის გაჟღენთილი. ეს გარემოება მას განსაკუთრებულ იდეურ ძალას ანიჭებს.

საქართველოში ბრეჰტის პიესა აქამდე არ დადგმულა. რუსთაველის თეატრმა პირველმა განახორციელა იგი. ჩვენ „სამგროშიან ოპერაზე“ შეგიერდით. და ამას აქვს თავისი ლოგიკა. „სამგროშიანი ოპერა“ ბრეჰტის ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი სოციალურ-პოლიტიკური სატირაა. იგი მუსიკალური ხასიათის ნაწარმოებია და მოითხოვს ისეთ შემსრულებლებს, რომლებმაც კარგად იციან სიმღერა და ცეკვა. დრამატული თეატრის მსახიობის ბუნება აქ უნდა შეიერწყას ძლიერ მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ თავისებურებასაც. ამ თვალსაზრისით „სამგროშიანი ოპერა“ ყველაზე სპეციალური და თავისებური წარმოდგენა იქნება ჩვენი თეატრის ისტორიაში.

სპექტაკლის მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ფ. ლაპიაშვილს, მუსიკა — გერმანელ კომპოზიტორ კურტ ვაილის, ქორეოგრაფია — ი. ზარეცკის, დირიჟორია ი. გოგინაშვილი, კონსულტანტი — დოცენტი ზ. ჭარხალაშვილი. პიესის თარგმანი ეკუთვნით ჯორჯანელებს, წარმოდგენაში ბევრი მოქმედი პირია. არის მთავარი და თითქოსდა უმნიშვნელო როლები, მაგრამ ამ სპექტაკლისათვის ყველა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. მაინც მინდა დავასახელო მთავარი როლების შემსრულებლები ე. აფხაიძე, თ. თარხნიშვილი, მ. გეგეჭკორი, მ. ლომიძე, მ. მიქელაძე, ე. ჭავჭავაძე, ნ. მარგველაშვილი. ისიც უნდა ითქვას, რომ სპექტაკლში გამორჩეული ფუნქცია აქვს რ. ჩხიკვაძეს მეკის როლს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სპექტაკლი ჯეროვან ინტერესს აღუძრავს მაყურებელს.

## ნორჩი გალერინეგის შესრულებით

ნაუოფიერ მუშაობას ეწევა აჭარის ხალხური შემოქმედების სოლქო სახლთან არსებული ბავშვთა სიმღერა სტუდია. მისმა აღსაზრდელებმა ამ დღეებში ბათუმელ მაყურებელს უჩვენეს ახალი დადგმა — „ზამთრის ზღაპარი“. სპექტაკლში როლების კარგი შესრულებით თავი გამოიჩინეს ნორჩმა მსახიობებმა ხ. ჩაჩკოვამ, ლ. ესაიევამ, ა. ვაქოვმა, ე. ფილოსიანმა, ე. გოლოგორსკაიამ. განსაკუთრებული წარმატება ხვდა თოვლის პაპის ნორჩ შემსრულებელს გენა ვასილიევს.

სიმღერა სტუდიის ხელმძღვანელია გამოცდილი პედაგოგი და ბალეტმეისტერი ე. ფროლოვა.

ნ. პავლოვა.

ბოლოდ ორიოდე თვე იქნება, რაც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ქუთაისის საქალაქო განყოფილებასთან ჩამოყალიბდა ახალგაზრდული ხალხურადო ანსამბლი „სალამური“. ამ ნიჭიერი კოლექტივის პირველმა კონცერტებმა მოწონება დაიმსახურა.

სურათზე: ანსამბლის სოლისტი მოც ეკვეკი ნათელა ენუქაშვილი.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

# მებრძოლის სიმღერა

მივდიეარ, გული მიღელავს,
ბრძოლისკენ ანაჩქარება.
გარს მივლის, თავზე მეხვევა
ყავკასიონის ქარები.
ჩემო ლამაზო, აქ გტოვებ,
იქ მოიმეთ მიეხმარები.
სამშობლოს დასაცავადა
არც სიკვდილს დაეზარება.
შენ არ იდარდო ჩემზედა,
გული არ დაიზიანო!
ჩვენი მშობლები ყველასა
მამულისთვისა გვზრდიანო.
ნახვამდის დაბრუნებამდე,
ჩემო სოფელო მთიანო.
ნახვამდის ფშავის ქედებო,
გულია, ბარაქიანო.
ნახვამდის, ჩვენო არაგვო,
ბობოქარ ტალღებიანო.
ნახვამდის, ჩემო ნუგეშო,
ტურფავ და სახემზიანო.
ამოვუდგები მხარშია
არმიას ჩვენი მხრისასა.
გულს მივცემ შეუპოვრობას,
სიმავრეს სალი კლდისასა.
სანამ ვსულდგმულობ, მოვუვლ
ჩემი სამშობლოს მიწასა.
მტრის სასაკვდილოდ ბრძოლაში
პირს არ შევარცხვენ ხმლისასა.

**გიორგი მარცვალაშვილი,**
ხალხური მთქმელი.

სოფელი ჩარგალი.

# განა დავბერდი!

ბაღში რომ გალობს ბულბული,
დაიწყებს ტია-ტიასა,
მინდორიც ამოყვავდება,
მოიწვევს ვარდსა, იასა.
ჩემი მშობელი ქვეყანა
გალობას მართავს ხმიანსა.
ლაღობს და ხარობს მშრომელი,
ვერც ვინ მოუტანს ზიანსა!
ნუ მეტყვით, მართლა მოვხუცდი
და აღარ მიჭრის ფრანგული,
მინდა არაგვსაც შევთხოვო
გამიგოს სიტყვა ქართული.
წინათ ხომ ჩემთვის არ ჩანდა
გაზაფხული და ზაფხული,
არც თავის თავი ვიცოდი,
ჯავრით ვიყავი გართული.
მამა შვილს უხნავს, უთესავს,
შვილი კი იმკის ყანასა,
ის ურჩევნია მამულსა,
შვილი რომ სჯობდეს მამასა.
ნუ, ნუ გგონიათ დავბერდი
ჭაღარა რომ მაქვს თავზედა.
არა, არ მოვხუცებულვარ, —
სახნისი მოხვდა ქვაზედა.

**გიორგი აფციაური,**
ხალხური მთქმელი.

თეთრი წყარო.

# ილიას სახლ-მუზეუმში

ქართული ლიტერატურის დიდი კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმი ყველასათვის საყვარელი ადგილია. აქ წლის ყოველ დროს დაუსრულებლად მოდიან ექსკურსანტები. სტუმრები სიამოვნებით ეცნობიან ილ. ჭავჭავაძის ნაყოფიერ ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

საიდან არ მოსულან აქ: ვლადივოსტოკიდან თუ კალინინგრადიდან, არხანგელსკიდან თუ აშხაბადიდან... მოდიან სტუმრები საზღვარგარეთიდანაც. შთაბეჭდილების წიგნები ივსება მადლიერების გამომხატველი სტრიქონებით. ჩანაწერების ავტორები განსაკუთრებულ მადლობას გამოთქვამენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიმართ, ეხოდენ რომ აფასებენ იმ ადამიანთა მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, რომლებსაც ღრმად აქვთ ვადგმული ფესვები ხალხის წიაღში.

მარტო 1963 წლის განმავლობაში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი ინახულა 33.941 კაცმა. მათ შორის მოძმე რესპუბლიკებიდან იყო 14.026 კაცი, უცხოეთიდან — 252 კაცი. აღსანიშნავია, რომ მუზეუმის ხშირი სტუმრები არიან მოსწავლეები. ერთი წლის განმავლობაში მუზეუმი დაათვალიერა 8.555 მასწავლებელმა და მოსწავლემ.

ჩვენი ვალია უზრუნველვყოთ, რომ ი. ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმი წელს უკეთესად მოემსახუროს სტუმრებს.

შ. მარკოზაშვილი,
ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის მეცნიერი მუშაკი.

# არქეოლოგიური ნაპოვნი

თელავი. (საკ. კორ.). ფშაველში მცხოვრებმა გ. რაიბულმა სტორის მარჯვენა ხარის მდებარე ტყეში პატარა ქვევრი შეენიშნა. ამოღება მოიწადინა, მაგრამ ასწლოვანი ხეების ფესვებმა საშუალება არ მისცეს. ქვევრში აღმოჩნდა თიხის პატარა ღვინის სასმისი, რომელსაც თავზე დახურული ჰქონდა ლითონის ფიალა. სასმისში ჩაყოფილი იყო ქალის სამკაულები, მონეტები და სხვ.

გ. რაიბულმა არქეოლოგიური ნაპოვნი თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს გადასცა.

# ფერადი თოვლი

ტაშკენტი, (ჩვენი საკ. კორ.). ანდიჯანის ოლქის ყურგან-თეფაში მოვიდა... მიხაილსფერი თოვლი. ამ არაჩვეულებრივი მოვლენის მიზეზი ადვილად გამორკვეს მეტეოროლოგებმა. აღმოჩნდა, რომ, სანამ თოვლი მოვიდოდა, ყინულყუმის უდაბნოში მტვრიანი ქარიშხლები იყო. მაღალ ასულმა მტვრის უწვრილესმა ნაწილაკებმა თოვლისა ღრუბელში შეაღწიეს და იგი მიხაილფრად შეღებეს.

„სოვეტსკაია როსსია“.

# ბერძოლის ველ-ბოვნება

## მკითხველის კალმით

□ გორში გაიხსნა საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მანქანა-საანგარიშო სადგური, სადაც დადგმულია ახალი ტიპის კლავიშებიანი საანგარიშო და საანგარიში-პერფორაციული მანქანები. სადგურისათვის სპეციალურად მომზადდა კადრები.

სადგური მომსახურებას გაუწევს გორის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ქალაქ გორისა და მისი მეზობელი რაიონების სამრეწველო საწარმოებს, სავაჭრო და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებს.

ი. მაისურაძე.

□ ზესტაფონის რაიონის სოფელ ბოსლევის საშუალო სკოლის მოსწავლე თეიმურაზ მახათაძე სკოლიდან შინ ბრუნდებოდა. გზაზე შენიშნა, რომ მეზობლის სახლის ბუხრიდან უეცრად ალი ამოვარდა.

ყმაწვილი არ დაიბნა. სწრაფად შეიჭრა ა. მახათაძის სახლში და დაინახა, რომ მოხუცი ქალს ალი მოსდებოდა. მამაცმა მოსწავლემ ჯერ მოხუცი გადაარჩინა დაწვას, შემდეგ სახურავზე აიჭრა და ხანძრის კერა ჩააქრო.

დ. ბედიანიძე.

# ოქროს მეათე დღე

საბჭოთა სპორტი ინსბრუკში ზეიმობს, თეთრი ოლიმპიადის სოფელში სულ უფრო ხშირად ისმის სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის მელოდია, რომელიც გვამცნობს ჩვენი ქვეყნის წარგზავნილთა გამარჯვებას, მათ დაჯილდოებას. უჩვეულო სიხარული აქვთ სპორტსმენთა დიდი ფორუმის მონაწილე საბჭოთა მოციგურავეებს, მოთხილამურეებს, ბოკეისტებს...

ყველაზე მეტ სიხარულს მაინც ჩვენი სახელოვანი მოციგურავე ქალი ლიდია სკობლიკოვა, ან, როგორც მას აქ შეარქვეს — „რუსული რაკეტა“ განიცდის.

უჩვეულო აღფრთოვანება მომგვარა ლ. სკობლიკოვას ნ. ს. ხრუშჩოვის წერილმა, საადაც ნიკიტა სერგის-ძე პირადად მას და საბჭოთა ოლიმპიელებს გამარჯვებას ულოცავს და ახალ-ახალ წარმატებებს უსურვებს. ყველაზე დიდ ბედნიერებად სკობლიკოვა თვლის კომუნისტური პარტიის რიგებში მიღებას და მთელი გულით მადლობას უხდის პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს მამობრივი მზრუნველობისა და ყურადღებისათვის.

□ „ციბურების დედოფლის“ სიხარული. □ ოლიმპიადის ახალ-ახალი ფავორიტები. □ დღეები და ნაბიჯები მედლები. □ ესტაფეტის მძლავრი ფინიში. □ მიმზიდველი, გრაციოზული. □ ყველაზე მომძანცველი დისტანცია. □ ბოკეისტთა დიდი ასპარეზობა.

სკობლიკოვას სიხარულს უერთდება საბჭოთა სპორტსმენების უსაზღვრო სიხარული. და განა მარტო სკობლიკოვა ზეიმობს მოპოვებულ წარმატებას, საბჭოთა ოლიმპიელთა რიგებში ხომ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს არა ერთი მედალოსანია, რომლებსაც აქ ფავორიტებს უწოდებენ. ესენი არიან მოთხილამურეები, მოციგურავეები, ბიატლონისტები.

დღე დღეს მისდევს, ზამთრის ოლიმპიადა ინსბრუკში ფინიშს უახლოვდება, მაგრამ საბჭოთა სპორტსმენები მოპოვებული მედლებით მიუწვდომელნი არიან რომელიც გხებავთ ქვეყნის გუნდისათვის. ასპარეზობის ათ დღეში ათი ოქროს მედლის მოპოვება ოლიმპიადის ისტორიაში გაუგონარი მოვლენაა.

ჩვენი მოთხილამურე და მოციგურავე ქალების წარმატებებმა თეთრ ოლიმპიადაზე საერთო აღიარება ჰპოვა. მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. გუშინ ჩვენმა მოთხილამურეებმა მედლების საერთო ნაგავლის კიდევ ერთი ოქროს მედალი შემატეს. ესენი იყვნენ 3×5 კილომეტრზე ესტაფეტის მონაწილეები ა. კოლჩინა, ვ. მეკშილო და კ. ბოიარსკიხი.

საბჭოთა ეოთხლამურეებმა აჩვენეს დრო — 59 წუთი და 20,2 წამი. დისტანციაზე ა. კოლჩინას შედეგი იყო 21 წუთი და 17,9 წამი, ე. მეკშილოსი — 19 წუთი და 8,5 წამი, კ. ბოიარსკიხისა — 18 წუთი და 53,8 წამი.

მეორე ადგილზე გამოვიდა შვეიცის გუნდი (1 საათი, 1 წუთი და 27 წამი), მესამეზე — ფინეთის მოთხილამურეთა კოლექტივი (1 საათი, 2 წუთი და 45,1 წამი).

გუშინ ამოიწურა შეჯიბრება ფიგურული ციგურაობაში, გამოვლინდა ახალი ჩემპიონი, პრიზიორები. ოქროს მედლის მფლობელი ამ გრაციოზულ ასპარეზობაში გახდა მიუნხენელი ტატიანა მანროდან ზნელდორფერი. ვერცხლის მედალი მოიპოვა ფრანგმა ალენ კალმა, ბრინჯაოსი — სკოტ ალენმა (ამერიკის შეერთებული შტატები).

მოციგურავეთათვის 7 თებერვალი შეჯიბრების უკანასკნელი დღე იყო. ვაჟები ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ ყველაზე მომქანცველ დისტანციაზე — 10.000 მეტრზე. ბრძოლა შეუპოვარი აღმოჩნდა. წარმატებით გაიარა დისტანცია შვეიცის წარმომადგენელმა ი. ნილსონმა და ოქროს მედალი მოიპოვა. მან აჩვენა დრო — 15 წუთი და 50,1 წამი. საბჭოთა სპორტსმენებმა ანტს ანტსონმა და ვ. კოსიჩენმა ბეხუთე და მეექვსე ადგილები დაიკავეს.

ბოკეისტთა გუშინდელი ასპარეზობიდან უურადღების ცენტრში იდგა სსრ კავშირისა და შვეიცის გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვეს საბჭოთა ბოკეისტებმა ანგარიშით 4:2. კანადისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების მატჩი შედგა გვიან ღამით.

სურათებზე: ოლიმპიური ოქროს მედლის ორგზის მფლობელი კ. ბოიარსკიხი (მოთხილამურე) და ა. ანტსონი — ჩემპიონი 1.500 მეტრზე ჩქაროსნულ ციგურაობაში.

# საკავშირო ჩემპიონატი კალათგურთში

ტალინი, 6 თებერვალი. (საკკორ.). დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატის ფინალის პირველი წრე კალთბურთში ქალთა გუნდებისათვის. წარმატებით გამოვიდნენ შეჯიბრებაზე რიგის ტრამეაი-ტროლეიბუსის ტრესტის სპორტსმენები, რომლებმაც გამარჯვება მოიპოვეს ათ მატჩში. შვიდ-შვიდი ქულა შეაგროვეს ტარტუს უნივერსიტეტის, არმიის სასპორტო კლუბისა (ლენინგრადი) და „ტექსტილმაშის“ (ტაშკენტი) გუნდებმა. ლენინგრადის „ბურევესტნიკს“ 6 ქულა აქვს, კიევის „დინამოს“, მოსკოვის „სპარტ“ და ნოვოსიბირსკის „სიბირიაჩკას“ — ხუთ-ხუთი ქულა, სვერდლოვსკის „ურალმაშს“ — 4, თბილისის „პოლიტექნიკოსს“, მოსკოვის ოლქის „სპარტაკსა“ და კაუნასის „პოლიტექნიკოსს“ — სამ-სამი ქულა.

# ესტონელ ჩოგბურთელთა იამარჯვება

სევეროდონეცკი, 7 თებერვალი. (საკდესი). ჩოგბურთელთა ზამთრის საკავშირო გუნდური შეჯიბრების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მოდმენი მეტოქენი — მოსკოვისა და ესტონეთის სპორტსმენები. ანგარიშით 5:4 გაიმარჯვა ესტონეთის გუნდმა.

მესამე ადგილი ქართველმა სპორტსმენებმა დაიკავეს.


# ეროვნული სპორტი

## კოხტაგორის ფერდობებზე

ბაკურიანში გრძელდება რესპუბლიკური ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში. გუშინ გიგანტურ სლალომში ქალთა შორის გაიმარჯვა შ. ცნობილაძემ, ვაჟთა შორის გ. აბრამაშვილმა.


# მფრინავებმა მეგადურები გადაარჩინეს

შემთხვევები

რიგა, 6 თებერვალი (საკდესის კორესპონდენტები ბ. ბორისოვი, ფ. მედვედევი). ეს ამბავი ბალტიის ზღვაზე მოხდა. კარგი დარი იდგა და სპორტსმენების დიდმა ჯგუფმა გადაწყვიტა სათევზაოდ წასულიყო ბალტიის ზღვის ერთ-ერთ ყურეში. თევზი ბევრი იყო და მეგადურებმა ვერ შეამჩნიეს როგორ მეპარათ საფრთხე. ჩრდილო-დასავლეთიდან უზარმაზარი შავი ღრუბელი გადიდფარა ყურეს, დაბნელდა. ამოვარდა ქარი. მეგადურთა ფეხქვეშ ყინული დასკდა, გაჩნდა დიდი ნაპრალები. ძლიერმა ქარმა ღია ზღვაში გაიტაცა ყინულის ნატეხები, რომლებზედაც ადამიანები იყვნენ.

— ადამიანები საფრთხეში არიან! — გადაიცა სიგნალი.

პირველმა საფრთხის სიგნალი მიიღო № 5 საავიაციო ნაწილის მორიგემ. ოფიცერი ტელეფონით დაუკავშირდა ბალტიის ზღვის ფლოტის სამხედრო-საჰაერო ძალთა სარდალს, რომელმაც მაშინვე გასცა განკარგულება დაუყოვნებლივ ჰაერში ასულიყვნენ თვითმფრინავი და ვერტმფრინავები.

...მზვერავი თვითმფრინავი თავს დასტრიალებს ზღვას, აი გამოჩნდა პატარა ყინული, ზედ კი ადამიანთა ჯგუფი. შემდეგ მეორე ყინულიც დაინახა, მესამეც... კაპიტანი უშაკოვი რაციოთი დაუკავშირდა ვერტმფრინავების ეკიპაჟებს და ყინულების ადგილმდებარეობა მიუთითა, თვითონ კი ისევ განაგრძობდა ძებნას.

ყინულების თავზე, რომლებზეც მეგადურები იყვნენ ვერტმფრინავები გამოჩნდა, მაგრამ როგორ უნდა გადაარჩინონ ადამიანები? პატარა ყინულზე ვერტმფრინავი ვერ დაეშვება, არც თოკის კიბის გამოყენება შეიძლება ამ ქარბუქში. ოფიცერმა ბურმისტროვმა ზედ ყინულზე დაუშვა ვერტმფრინავი. სულ ნახევარი მეტრი აშორებდა მეგადურებს მანქანისგან. ისინი სწრაფად ავიდნენ კაბინაში. ვერტმფრინავი აფრინდა და ნაპირისაკენ გაემართა. ბურმისტროვის მაგალითს მფრინავებმა იგიორეგმა და კალინინმაც მიბაძეს.

გადარჩენილები ნაპირზე გადმოსხეს და მფრინავები სხვების საძებნელად გაემართნენ, ძნელ მეტეოროლოგიურ პირობებში მოუხდათ მუშაობა, ძლიერი ქარი გზას უბნევდა მანქანებს, თოვლის არაფერი ჩანდა ქარბუქში.

პირველ დღეს მფრინავებმა ნაპირზე გამოიყვანეს 52 მეგადური. მაგრამ, გადარჩენილთა ცნობით, ყინულებზე კიდევ დარჩა ხალხი. არავინ იცოდა რამდენნი იყვნენ. გათვლა. მზვერავი თვითმფრინავი და ვერტმფრინავები კვლავ ზღვას დასტრიალებდნენ. აქვერად ძებნა უფრო გაძნელდა, რადგან ძლიერ თოვდა და ქარიც გაძლიერდა. და მაინც ბალტიის ზღვის მფრინავებმა კიდევ 15 მეგადური გადაარჩინეს.

მფრინავებმა მხოლოდ მაშინ შეწყვიტეს მეგადურთა ძებნა, როცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეატყობინეს, რომ ყველა 67 მოყვარული მეგადური ნაპირზეა.

გადარჩენილების, მათი ცოლშვილის, ახლობლებისა და მეგობრების მხურვალე მადლობა ყველაზე ძვირფასი ჯილდო იყო თვითმფრინავისა და ვერტმფრინავების ეკიპაჟებისათვის.

# ბლასტმასის ბილები ცოცხალ ფესვებზე

• საინტერესო სიახლენი

თვრამეტი წლის ჰოკეისტმა ალექსანდრე იაკოვლევმა თამაშის დროს შემთხვევით ორი წინა კბილი მოიტეხა.

დაზიანებული რომ ყოფილიყო მხოლოდ გვირგვინა, ესე იგი კბილის ის ნაწილი, რომელიც ღრძილს ზემოთ ჩანს, მას პლასტმასით შეცვლიდნენ და. შტიფტით ფესვზე დამაგრებდნენ. მაგრამ ამ შემთხვევაში გადატეხა მოხდა ღრმად ღრძილს ქვემოთ.

გამოსავალი ერთადერთი იყო: ამოეღოთ ფესვები და დამზადებინათ ხიდისებრი პროთეზი. მაგრამ მოსკოვის სტომატოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომელმა ქირურგმა ლევ სუხანოვმა გადაწყვიტა შეენარჩუნებინა ფესვების ნამტვრევები, რათა გამოეყენებინა როგორც საყრდენი პლასტმასის გვირგვინებისათვის.

ავადმყოფს გაუკეთეს უბის ტვიფარი და ჩამოახსნეს თაბაშირის მოდელი. ცვლილებაგან გაკეთეს მოტეხილი კბილების მოდელები და ეს კომპოზიცია გადატანეს პლასტმასაზე, რომელიც ფერით არ განსხვავდებოდა სხვა კბილებისაგან.

შემდეგ ქირურგმა ამოღღო იაკოვლევს კბილების ფესვები და მოამზადა ისინი შტიფტებისათვის. სწრაფმავრცელებადმა შემადგენლობამ ფესვები და შტიფტები კბილის პლასტმასის ნაწილთან შეაერთა. ბოლოს ფესვები კვლავ მოათავსეს ღრძილის ფოსოებში და კავ-სალტით დაამაგრეს.

გავიდა სამი კვირა. კბილები მაგრად იყო თავის ადგილებზე და შეიძლებოდა კავ-სალტის მოხსნა. ექვსი კვირის შემდეგ კი კბილები საბოლოოდ შეხორცდა.

ახლა ქირურგიული სტომატოლოგიის კათედრაზე გაკეთებულია მკურნალობის შემდეგ კბილებისა და ფესვების შეხორცების ორასამდე ოპერაცია. კბილები და ფესვები ყველა შემთხვევაში შეხორცდა.

## ნ. გაფრინდაშვილისადმი მიძღვნილი ეტიუდი

ხაჭადრაკი ეტიუდების შედგენის 1963 წლის სრულიად საკავშირო კონკურსის პირველი პრიზი, რომელიც დაწესა კურსკის ახალგაზრდულმა გაზეთმა „მოლოდია გვარდიამ“, მოიპოვა ქართველმა ოსტატმა გ. ნადარეიშვილმა.

გ. ნადარეიშვილმა თავისი ეტიუდი მიუძღვნა მსოფლიოს ჩემპიონს ჭადრაკში, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ნონა გაფრინდაშვილს.

საჭადრაკო ეტიუდების შედგენის 1963 წლის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საერთაშორისო კონკურსი მოაწყო შვედურმა საჭადრაკო ჟურნალმა „ტიდსკრიფტ ფორშაკმა“. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 13 ქვეყნის 32 ავტორმა. ამ კონკურსში პირველი პრიზი მოიპოვა საბჭოთა ოსტატმა ვ. ტელოვსკიმ. გ. ნადარეიშვილმა და საფრანგეთის წარმომადგენელმა ი. გრისმანმა გაიყვეს III და IV პრიზები. (საქდესი).



## თეატრები

8 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი — ჩრდილოეთის პატარძალი (მე-11 აბონ. მე-6 წარმოდგენა), რუსთაველის სახელობის დიდი დრამაში — სამგროშიანი ოპერა (პრემიერა, აბონ. გარეშე), მარჯანიშვილის სახელობის — ჩემი ყვავილეთი (მე-19 აბონ. მე-2 წარმოდგენა), გრიბოედოვის სახელობის — საჭიროა მატყუარა (აბონ. გარეშე), ვახ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის (რკინგზელთა სახლში) — სიმღერა თბილისზე, სანიტარული განათლების სახლი — დაჭრილი ამორები (პრემიერა), მოწარდ მაყურებელთა ქართული —თეთრად ფრიალებს აფრა ეიელი (აბონ. № 41, საღ. 6 ს.), თოჯინების ქართული — ცეროდენა (დღის 11 ს.), თოლიკის სკოლა (დღის 2 ს).

## ტელევიზია

8 თებერვალი

18.00 — უფროსკლასელთათვის — „ჩემი სამყაროელი საგანი“, 18.25 — კონცერტი მოსწავლეთა დაკვეთით, 18.40 — გადაცემა — „ყანობილელი ახალგაზრდები“, 18.55 — კინოჟურნალი „მინდა ყველფერი ვიცოდე“, 19.05 — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი „ოქროპირი“, 19.45 — მხატვრული ფილმი „ტამანგო“ (16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის ამ ფილმის ნახვა მიზანშეწონილი არ არის), 21.45 — ახალი ამბები, 22.00 — საესტრადო გადაცემა.

## პირველი პროგრამით

06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 08.30 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 09.15 — მენდელსონი. ფორტეპიანოზე ასრულებენ ბ. ფალავანდიშვილი, 09.45 — „ზაფხულის ღამის სიზმარი“, 10.15 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, 10.45 — ქართველი კომპოზიტორების რომანსები, 11.30 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 12.15 — მუსიკალური რადიოფიშა, 12.35 — ქართული პოპულარული საოპერო მუსიკა, 13.20 — კონცერტი — „სიმღერით მსოფლიოს ირგვლივ“, 14.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „დაყრაეებული ხე“ (გადაცემა მეორე), 14.45 — საუბარი — „ჩვენი სასპატიო ამოცანა“, 15.00 — კონცერტის ტრანსლაცია ერევნიდან, 15.40 — კ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „ცაბუნია“, 16.30 — კონცერტი ე. ჭაბადარის ნაწარმოებებიდან, 17.15 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.10 — კონცერტი — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“ 19.30 — რადიოჟურნალი „ჩვენი სოფელი“, 20.00 — კონცერტი — „მრავალფაფერი“, 20.30 — ლიტერატურულ-დრამატული გადაცემა — „ჩვენი ახალი ჩანაწერები“, 21.30 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 23.30 — მსუბუქი მუსიკა.

## რადიო

9 თებერვალი

# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ



## დისერტაციების დაცვა

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში**

19 თებერვალს, დღის 12 საათზე, საალტო დარბაზში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **პაპაკი დიმიტრის-ძე კენჭოშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ილია ჭავჭავაძე (მხატვრული შემოქმედების საკითხები)“.

4 მარტს, დღის 12 საათზე, № 107 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **დანიელ იოსების-ძე რამიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ჭოლა ლომთათიძე“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.



რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული 9-87-61, მრეწველობის — 3-20-43, მარქსიტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, უცხოეთის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის—3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების 3-35-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების